# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (9.851)

3 – 10 ნოემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## კენჭისყრის დღე და საჩივრების ბედი



გვ. 2

## „ყველაზე დიდი ძალა ხალხია“



გვ. 3

პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტში აისახება სოციალური დაცვის ახალი სისტემა, 16 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვები 5-ჯერ გაზრდილ დახმარებას მიიღებენ.

## დედოფლისწყაროს შედეგები



**სალომე ზურაბიშვილი** — დამოუკიდებელი კანდიდატი — 52.89%



**გრიგოლ ვაშაძე** — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — 26.35%



**დავით ბაქრაძე** — ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის — 11.27%



**შალვა ნათელაშვილი** — საქართველოს ლეიბორისტული პარტია — 4.51%



**დავით უსუფაშვილი** — თავისუფალი დემოკრატები — 1.66%

**დედოფლისწყაროში სულ 21 870 ამომრჩეველია, ხმა მისცა 11 017-მა, რაც 50,13%-ია**

## სოფლის განვითარების პროგრამისთვის 20 მილიონი გამოიყო

სოფლის განვითარების პროგრამის ბიუჯეტი მომავალ წელს 20 მილიონი ლარი იქნება, – ამის შესახებ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების რაოდენობა არ იქნება, ან პროექტი არ იქნება ისეთი, რომელიც კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, ეს თანხა მიმართული იქნება რეგიონული განვითარების ფონდში და მუნიციპალურ საჭიროებებს მოხმარდება.

„ეს პროგრამა იყო მიმართული მცირეთანხიანი პროექტებისთვის, მაგრამ თვითონ პროექტების შერჩევა არის საინტერესო, რომელსაც უშუალოდ სოფლის მოსახლეობა არჩევდა სოფლის კრების გზით. სწორედ ეს არის თვითმმართველობის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც თვითონ გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან იმ სოფლების მცხოვრებლები. ვფიქრობთ, რომ ეს პროგრამა საინტერესოა დღესაც, რადგან სოფერებში არის მცირე პროექტების დაფინანსების ინტერესი. რეგიონული განვითარების ფონდიდან ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს, რომლის ღირებულება 50 ათასი ლარი და ზემოთ არის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სოფლებში არის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროება - სკვერების მოწესრიგების, უბნების კეთილმოწყობა, შეკრების ადგილების კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს პროგრამა ალვადგინეთ, მაგრამ არა იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც იყო გათვალისწინებული მანამდე. პროგრამა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მივმართეთ, რაც მის ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად გაზრდის. ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონი ლარია. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების რაოდენობა არ იქნება, ან პროექტი არ იქნება ისეთი, რომელიც კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, ეს თანხა ისევ მიმართული იქნება რეგიონული განვითარების ფონდში და ისევ მუნიციპალურ საჭიროებებს მოხმარდება. პროგრამის ეფექტიანობას თვითმმართველობები გააკონტროლებს. ჩვენ შევისწავლეთ ყველა არაეფექტურობა, რომელიც ამ პროგრამაში მანამდე იყო. დადებითი მხარეები გათვალისწინებული და წარმოჩინებულია, ხოლო უარყოფითი და ნაკლებეფექტურობა ასევე გათვალისწინებულია ამ პროგრამაში“, – განაცხადა ცქიტიშვილმა.





გვ. 8

## „გზა ზენიტისკენ მე მეგონა დედის ნაწნავი“

## ფსიქიკური ჯანმრთელობა, გარემო და მედია



გვ. 3

C M Y K

# არჩევნების შედეგები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს ყველა უბნის შეჯამებული მონაცემები მთლიანად:

***სალომე ზურაბიშვილი – 5 686 ხმა - 52,89%***
***გრიგოლ ვაშაძე – 2 833 ხმა - 26,35%***
***დავით ბაქრაძე – 1 212 ხმა - 11,27%***
***შალვა ნათელაშვილი – 485 ხმა - 4,51%***
***დავით უსუფაშვილი –179 ხმა - 1,66%***
***კახა კუკავა – 81 ხმა - 0,75%***
***ზურაბ ჯაფარიძე – 69 ხმა - 0,64%***
***გიორგი ანდრიაძე – 35 ხმა - 0,33%***
***თეიმურაზ შაშიაშვილი – 27 ხმა - 0,25%***
***ბესარიონ თედიაშვილი – 27 ხმა - 0,25%***
***ლევან ჩხეიძე – 21 ხმა - 0,20%***
***თამარ ცხორაგაული 17 ხმა - 0,16%***
***ვახტანგ გაბუნია – 14 ხმა - 0,13%***
***მიხეილ სალუაშვილი – 12 ხმა - 0,11%***
***გელა ხუციშვილი – 12 ხმა - 0,11%***
***აკაკი ასათიანი – 11 ხმა - 0,10%***

ქ. დედოფლისწყარო №1 (კულტსახლი)
***1108 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 561***
სალომე ზურაბიშვილი - 277 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 148 ხმა
დავით ბაქრაძე - 62 ხმა

ქ. დედოფლისწყარო №2
***1172 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 509***
სალომე ზურაბიშვილი - 220 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 133 ხმა
დავით ბაქრაძე - 52 ხმა

ქ. დედოფლისწყარო №3 ელია
***1438 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 701***
სალომე ზურაბიშვილი - 362 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 156 ხმა
დავით ბაქრაძე - 71 ხმა

ქ. დედოფლისწყარო (ვეტლაბორატორია)
***1554 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 701***
სალომე ზურაბიშვილი - 313 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 184 ხმა
დავით ბაქრაძე - 87 ხმა

ქ. დედოფლისწყარო (მესამე ბაღი)
***918 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 480***
სალომე ზურაბიშვილი - 221 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 110 ხმა
დავით ბაქრაძე - 88 ხმა

სოფელი არბოშიკი
***1183 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 663***
სალომე ზურაბიშვილი - 339 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 191 ხმა
დავით ბაქრაძე - 49 ხმა

სოფელი ოზაანი
***890 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 491***
გრიგოლ ვაშაძე - 194 ხმა
სალომე ზურაბიშვილი - 187 ხმა
დავით ბაქრაძე - 48 ხმა

სოფელი გამარჯვება
***1122 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 532***
სალომე ზურაბიშვილი - 303 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 106 ხმა
დავით ბაქრაძე - 49 ხმა

სოფელი ხორნაბუჯი
***1074 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 511***
სალომე ზურაბიშვილი - 256 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 173 ხმა
დავით ბაქრაძე - 31 ხმა

სოფელი ხორნაბუჯი (მუზეუმი)
***847 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 352***
სალომე ზურაბიშვილი - 156 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 123 ხმა
დავით ბაქრაძე - 35 ხმა

სოფელი ზემო მაჩხაანი (სკოლა)
***956 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 562***
სალომე ზურაბიშვილი - 271 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 156 ხმა
დავით ბაქრაძე - 75 ხმა

სოფელი ზემო მაჩხაანი (კულტსახლი)
***978 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 562***
სალომე ზურაბიშვილი - 298 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 185 ხმა
დავით ბაქრაძე - 70 ხმა

სოფელი მირზაანი
***493 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 355***
სალომე ზურაბიშვილი - 269 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 49 ხმა
დავით ბაქრაძე - 13 ხმა

სოფელი სამრეკლო (კულტსახლი)
***1097 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 643***
სალომე ზურაბიშვილი - 302 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 222 ხმა
დავით ბაქრაძე - 49 ხმა

სოფელი სამრეკლო (სკოლა)
***658 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 370***
სალომე ზურაბიშვილი - 149 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 106 ხმა
დავით ბაქრაძე - 63 ხმა

სოფელი ზემო ქედი (კულტსახლი)
***1161 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 506***
სალომე ზურაბიშვილი - 270 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 99 ხმა
დავით ბაქრაძე - 75 ხმა

სოფელი ზემო ქედი (ბაღი)
***763 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 359***
სალომე ზურაბიშვილი - 185 ხმა
დავით ბაქრაძე - 60 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 56 ხმა

სოფელი არხილოსკალო
***1030 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 451***
სალომე ზურაბიშვილი - 278 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 81 ხმა
დავით ბაქრაძე - 22 ხმა

სოფელი ქვემო ქედი
***819 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 367***
სალომე ზურაბიშვილი - 234 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 79 ხმა
დავით ბაქრაძე - 25 ხმა

სოფელი ქვემო ქედი (ყოფილი სკოლა)
***616 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 253***
სალომე ზურაბიშვილი - 129 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 73 ხმა
დავით ბაქრაძე - 23 ხმა

სოფელი სამთაწყარო
***1121 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 543***
სალომე ზურაბიშვილი - 270 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 125 ხმა
დავით ბაქრაძე - 106 ხმა

სოფელი ფიროსმანი
***513 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 329***
სალომე ზურაბიშვილი - 206 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 58 ხმა
დავით ბაქრაძე - 46 ხმა

სოფელი საბათლო
***359 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 233***
სალომე ზურაბიშვილი - 191 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 26 ხმა
დავით ბაქრაძე - 13 ხმა

# კენჭისყრის დღე და საჩივრების ბედი

***დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. ხმაურს და ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, არც სერიოზული სახის დარღვევა დაფიქსირებულა. ერთიან სიაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაზუსტებული და ჩასწორებული მონაცემებით, სულ 21 870 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. აქედან ხმის უფლებით ჯამში 11 017-მა ამომრჩეველმა ისარგებლა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ ტურში საარჩევნო უბნებზე მათი ნახევარი გამოცხადდა და აქტივობამ 50,13% შეადგინა.***

კენჭისყრის პროცესს გაზეთი „შირაქიც" ესწრებოდა. არც ჩვენ და არც პოლიტიკური სუბიექტებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებს სერიოზული დარღვევა არ აღმოუჩენიათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ისეთი საჩივრები დაწერილა, რომელიც რომელიმე უბნის შედეგს ეჭვქვეშ დააყენებდა, ან მისი გაბათილების საკითხს დასვამდა.

გრიგოლ ვაშაძემ ყველაზე მეტი ხმა სოფელ სამრეკლოს კულტსახლის უბანზე მიიღო, თუმცა, აქ სალომე ზურაბიშვილს მაინც ვერ გაუსწრო. სალომე ზურაბიშვილმა კი ყველაზე მეტი ხმა ქალაქ დედოფლისწყაროს კამიშოვკის უბანში და სოფელ არბოშიკში აიღო. ვაშაძემ არჩევნები მხოლოდ ოზაანში მოიგო, ისიც სულ რაღაც 7 ხმით. დანარჩენ სოფლებსა და უბნებში სალომე ზურაბიშვილი აშკარა უპირატესობით ლიდერობს.

## დამკვირვებელთა საჩივრები

დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიაში საპრეზიდენტო არჩევნებზე სულ 9 საჩივარი შევიდა. აქედან 8 მათგანი უშუალოდ კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ ხარვეზებს ეხება, 1 კი არჩევნებამდე, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოვლენილ დარღვევას. ეს განცხადება არასამთავრობო სექტორმა შეიტანა. უშუალოდ 28 ოქტომბერს დაფიქსირებული საჩივრების რაოდენობით ჭარბობს „ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელი. ეს „ნაციონალურ მოძრაობაში" შემავალი ერთერთი პოლიტიკური სუბიექტია და გრიგოლ ვაშაძის ადგილობრივ შტაბს წარმოადგენს. მათმა დამკვირვებელმა თინათინ ალადაშვილმა 4 საჩივარი დაწერა. ორი საჩივარი პაატა ბურჭულაძის მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის" წარმომადგენელმა შეიტანა, ორი საჩივარიც დავით ბაქრაძის წარმომადგენელმა დედოფლისწყაროში, ნოშრევან ნატროშვილმა. ისინი, ძირითადად, დისციპლინურ და პროცედურულ დარღვევებს ეხება. საჩივრის ავტორები გრიგოლ ვაშაძისა და დავით ბაქრაძის წარმომადგენლები არიან.

პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის" **ვალერი ჩიბუხაშვილი** სოფელ მირზაანის 10-ე უბნის შედეგების გაუქმებას ითხოვდა. ამის მიზეზად კი იმ გარემოებას ასახელებდა, რომ ამ უბანზე, ბიულეტენების გახსნის შემდეგ ბევრ კონვერტში ბიულეტენთან ერთად მოთავსებული იყო ამომრჩევლის ბარათი. ამით კი შესაძლებელი იყო ამომრჩევლის იდენტიფიცირება, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა იმ კონკრეტულმა ამომრჩეველმა. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ამით არჩევნების ანონიმურობა დაირღვა და ამიტომ უბნის შედეგები უნდა გაბათილდეს. საჩივარს დართული აქვს შესაბამისი ფაქტის ამსახველი ფოტოები. იგივე პირმა 29 ოქტომბერს 15:25 საათზე საჩივრით მიმართა ოლქს, პასუხისმგებლობა დაეკისროს სოფელ ხორნაბუჯის 22-ე უბნის თავმჯდომარესა და მდივანს, რადგან შემაჯამებელ ოქმში არ არის მითითებული სპეცსიაში შემავალი 11 ამომრჩეველი. იგივე საკითხზე გრიგოლ ვაშაძის დამკვირვებლების საჩივარიც დაიწერა.

29 ოქტომბერს 12:15 საათზე – **ნოშრევან ნატროშვილი** „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა დედოფლისწყაროში გაასაჩივრა სოფელ ქვემო ქედის 15-ე უბნის მდივანის ბანდურაშვილის საქციელი. მისი მტკიცებით, მან უყურადღებოდ შეავსო შემაჯამებელი ოქმი, რის გამოც ოქმი არ



დაბალანსდა და 13 ბიულეტენით მეტი დაფიქსირდა. საჩივრის ავტორი წერს, რომ მდივანს შეეძლო ოქმი ჩაესწორებინა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ჩასწორება კი რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა, რის გამოც ნოშრევან ნატროშვილი ითხოვდა, საყვედური გამოცხადებოდა მდივანს. ამას გარდა, ოქმის ასლები მდივანმა ბეჭდის გარეშე გაავრცელა, რაც ასევე დარღვევაა. იგივე ფაქტებზე კიდევ ერთ საჩივარს წერს ნაციონალურ მოძრაობაში შემავალი „ქრისტიან კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელი **თინათინ ალადაშვილი.** მკვდარი სულების არსებობაზეც წერს საჩივარს და ორი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს – სოფელ სამთაწყაროში ვლადიმერ ნადირაშვილი და სოფელ არხილოსკალოში ქეთინო ირაული. საჩივრის ავტორი კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი ზომების გატარებას სთხოვდა.

საოლქო კომისიამ ყველა საჩივრის განხილვა უკვე დაასრულა, მათ არცერთი მოთხოვნა არ გაიზიარეს. ზოგიერთი მათგანი განუხილველად დარჩა, ზოგი არ დაკმაყოფილდა. გარდაცვლილთა სიების ჩასწორების საჩივარი განუხილველად დარჩა, რადგან საჩივარი უბნების დაკეტვამდე 45 წუთით ადრე დაიწერა. ასევე განუხილველად დარჩა ალადაშვილის საჩივარი, სოფელ ხორნაბუჯში, საარჩევნო უბნის მიმდებარედ აგიტაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ნოშრევან ნატროშვილის შემაჯამებელი ოქმის უზუსტობაზე 13 ბიულეტნის სხვაობით ორი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. იგივე თემაზე არ დაკმაყოფილდა არც თინათინ ალადაშვილის ორი საჩივარი.

ჩიბუხაშვილის საჩივარი 22-ე უბნის ოქმში სპეცსიაში შეყვანილი ამომრჩევლების ოდენობის გამორჩენის გამო თავმჯდომარის და მდივნის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაყენებას ითხოვდა, თუმცა არც ის დაკმაყოფილდა.

ასევე არ დაკმაყოფილდა ჩიბუხაშვილის საჩივარი ხმის მიცემის პროცედურის დარღვევის შესახებ. 10-ე უბნის კონვერტებში ბიულეტენთან ერთად ამომრჩევლის ბარათის არსებობის შესახებ. იმის გამო, რომ არჩევანის ანინიმურობა დაირღვა, ჩიბუხაშვილი უბნის შედეგების გაუქმებას ითხოვდა.

არჩევნებამდე, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიამ სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა" და „დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" განცხადება მიიღო. განცხადება ცესკო-ს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას სახელზე 20 სექტემბერს გაიგზავნა, რომელმაც განცხადება საოლქო კომისიას დააწერა. არასამთავრობო ორგანიზაცია წერს, რომ სამუშაო საათებში დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ფიროსმანაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ნომერს და კანდიდატის შეხვედრებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აქვეყნებს, რაც აკრძალულია. განცხადებას თან ერთვის მტკიცებულებებიც.

25 სექტემბერს დედოფლისწყაროს საოლქო კომისიამ მიიღო დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატის უფროსის ნინო ფიროსმანაშვილის მოხსენებითი ბარათი, სადაც ის მომხდარს ადასტურებს, თუმცა, შემდეგ გარემოებებს განმარტავს: „თქვენს მიერ მითითებული ფეისბუქის გვერდი მეკუთვნის მე. განცხადებაში აღნიშნული ფაქტი განხორციელდა ჩემს მიერ. მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ვიმყოფებოდი კუთვნილ შვებულებაში. რაც შეეხება 17 სექტემბერს გაზიარებულ პოსტს, აღნიშნულ დროს დავეთხოვე ხელმძღვანელს და არ ვიმყოფებოდი სამსახურში, მისი გაზიარება მოხდა საკუთარი მობილური ტელეფონით". მოხსენებით ბარათს ხელს აწერს ნინო ფიროსმანაშვილი. არასამთავრობო ორგანიზაცია ამ ფაქტის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას ითხოვდა, თუმცა საოლქო კომისიამ მას წერილობითი უარით უპასუხა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ყველაზე დიდი ძალა ხალხია

**არჩევნების პირველი ტური დამთავრდა. შედეგი ზოგიერთისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ზოგი ფიქრობს, რომ ეს ლოგიკურია. ერთი სიტყვით, აზრი ორად და კიდევ მეტადაც გაიყო. ახლა მიდის იმაზე მსჯელობა რაც მოხდა, რატომ მოხდა და რა არის სწორი გამოსავალი. ჩვენ გავესაუბრეთ ჩვენი ქალაქის რამდენიმე ამომრჩეველს და გავარკვიეთ, რას ფიქრობენ ისინი. ერთი რამ ნიშანდობლივია, რომ მოქალაქეებს ჯერ ისევ გამოყოლილი აქვთ ის შიში და ეჭვი, რომ ვინმემ, შეიძლება მათი ნათქვამის გამო, დასაჯოს, ამიტომ თავს იკავებენ გაზეთში მათი ვინაობის სრული გამჟღავნებისაგან. ამიტომ, მათ მხოლოდ სახელებით მოვიხსენიებთ.**

ეთერი ქ. - სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ არ დამვიწყებია ის დრო, როდესაც ისე გვეშინოდა, რომ ერთმანეთს ჩურჩულით და მიმიკებით ვესაუბრებოდით, როდესაც მობილურ ტელეფონებს ბალიშებს ვაფარებდით, ანდა, ზედ ვჯდებოდით, რომ ჩვენი საუბარი არ მოესმინათ, როდესაც მტყუან-მართალის გარჩევა შეუძლებელი იყო და ქვეყანაში უამრავი უბედურება ხდებოდა. ამისგან თანდათან ვთავისუფლდებით, მაგრამ არც დღეს არის მთლად აწყობილი ცხოვრება, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრიც გასაკეთებელია, მაგრამ მაინც ჩემთვის მოულოდნელი იყო ის შედეგი, რომელიც არჩევნების პირველ ტურზე დაიდო. ნუთუ მართლა ამდენ ხალხს აქვს ასეთი მოკლე მეხსიერება, რომ ისევ ავადსახსენებელი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს უჭერს მხარს! გრიგოლ ვაშაძე გარკვევით ამბობს, რომ შეიწყალებს წინა რეჟიმის ყველა დამნაშავეს, დააბრუნებს მათ ქვეყანაში და რეაბილიტაციას გაუკეთებს. მერე, არ არის გამორიცხული, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს და ისევ იმ უბედურებაში დავბრუნდეთ, საიდან თავის დაღწევასაც წლობით ბრძოლა, დარბევები და სისხლისღვრა დასჭირდა. თუ გვინდა, რომ ეს არ მოხდეს, ახლა მთელი ხალხი უნდა დაირაზმოს, მივიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს მთავრობის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს.

მარიამ წ. - არჩევნების შედეგი შემოლაწუნების ტოლფასი იყო მთავრობისთვის. ჰოდა, ამ შემოლაწუნებამ უნდა გამოაფხიზლოს ისინი, ვისაც ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია ხელთ. რეალურად უნდა დაინახონ ქვეყანაში არსებული ვითარება. კარგია, როცა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, როცა საავადმყოფოები შენდება, სკოლები რემონტდება და შენდება, საბავშვო ბაღების მდგომაეობა უმჯობესდება, მაგრამ შევხედოთ ოჯახებს, იშვიათები ძლიერდებიან ფინანსურად, უმრავლესობა ღარიბდება. სოციალური თვალსაზრისით ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მაგალითად, ჩემი ოჯახი ჩემს პენსიას შეჰყურებს. კოლმეურნეობის დროს აშენებული კაპიტალური სახლი გვაქვს. ამ სახლის აშენებას ჩემი მეუღლის ჯამთელობა შეეწირა. სამი შვილი მყავს. გოგოები გავათხოვე. მართალია, ფუფუნებით არ ცხოვრობენ, მაგრამ დღიურად თავი გააქვთ. თითო შვილი გააჩინეს და მეტს ველარ ბედავენ . მე ვაჟთან ერთად ვცხოვრობ. მას ორი შვილი ჰყავს, ორივე მოსწავლეა. რძალი არ მუშაობს. ის შვილების აღზრდა-განათლებითაა დაკავებული, რომ კეთილსინდისიერი და ქვეყნისათვის გამოსადეგი ადამიანები აღზარდოს. ვაჟი დღიურ საქმეს ხან შოულობს, ხან – ვერა. მთელი ოჯახი ჩემს პენსიაზეა დამოკიდებული. მეც ასაკი მაქვს, ხან ექიმი მჭირდება, ხან – წამალი. ჩვენნაირი ოჯახები ბევრია. უკმაყოფილოები ვართ, პენსია რომ არ გვემატება, ეს პროტესტს იწვევს ჩვენში. თუ გაჭირვებული ქვეყანაა, ყველასათვის გაჭირვებული ხომ ეუნდა იყოს?! 5,10,15 ათასი ლარი ხელფასები რომ აქვთ, განა რას აკეთებენ ისეთს? ჩვენ ათეული წლობით ვშრომობდით, სულ წყალში ჩაიყარა, „სტაჟისათვის“ 1 ლარსაც არავინ გვიმატებს, არ არის საშუალებაო. ეს ხომ უსამართლობაა. ასეთმა, ვითომ წვრილ-წვრილმა და უმნიშვნელო საქმეებმა გული გაუტეხა ხალხს, აღარავინ აღარ უნდათ, აღარ აღელვებთ ქვეყნის ბედი, რადგან მათთვის არაფერი იცვლება სასიკეთოდ. ერთმანეთი დაგიჭამიათო და არ მოვიდნენ არჩევნებზე პროტესტის ნიშნად. ეს მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და გამოასწოროს. უმუშევრობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, რადგან საქმე აქმდე მივიდა, მაინც მომავლის იმედით ხალხი უნდა მივიდეს არჩევნებზე და კიდევ ერთი შანსი მისცეს ამ მთავრობას.

ნოდარი გ. — „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“- უთქვამს ხალხს. ასეა ამ შემთხვევაშიც: მისდგომია ეს ოპოზიცია, რომელიც ძირითადად ნაციონალურ პარტიასთან იგივდება და ისეთ რამეებს აბრალებს ოცნებას, მთავრობას და თვით სალომე ზურაბიშვილს, რასაც თვითონ აკეთებდნენ 9 წლის განმავლობაში. მაგას თავი დაანებეთო, 9 წელს ნუღარ ახსენებთო, დალოცვილებო, ქვეყანა, მთელი ხალხი გააუბედურეთ და აღარც გისაყვედუროთ?! ჩემთვის გასაოგნებელია, როგორ მისცა ამდენმა ადამიანმა ხმა იმ რეჟიმს, რომელმაც სისხლი გაგვიშრო. მესმის, არც ესენი არიან ანგელოზები, ხალხის კეთილდღეობაზე არავინ ზრუნავს, ხელი შიგნით იხრებაო და ისინიც თავის თავზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ხალხზე, მაგრამ ისეთი დატერორებულები მაინც ხომ აღარ ვართ. ვფიქრობ, მთავრობისთვის ჭკუის სასწავლებელია, რაც მოხდა. ამიტომ, მეორე ტურზე ხალხის აქტიურობა და სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერა თითოეული მოქალაქის ვალად მიმაჩნია.

თინათინ ქ. - მთავრობამ გულწრფელად უნდა აღიაროს თავისი შეცდომები და შეცვალოს დამოკიდებულება ხალხთან. ვფიქრობ, პარტიას თავისი კანდიდატურა რომ დაესახელებინა - ვინმე ისეთი, ვინც ეკრანებიდან წამდაუწუმ ფარისევლური კომენტარებით არ გვაბეზრებდა თავს, ვინმე წესიერი, სუფთა წარსულის, გონიერი ადამიანი და მთელი ძალებით დაეჭირნა მხარი, უკეთესი იქნებოდა. ესეც ხომ ფარსი იყო – დამოუკიდებელი კანდიდატიო, რომ გვეუბნებოდნენ, ამანაც უარყოფითად განაწყო ხალხი. თანაც, ბევრმა იფიქრა, უჩემოდაც აირჩევენ, მთავრობა ნაციონალებს თავისას არ გააყვანინებსო. მაგრამ ხომ ვნახეთ, რაც მოხდა! ასეა თუ ისე, ორ წყალს შუა ვართ ჩავარდნილები და ხავსს უნდა მოვეჭიდოთ. ეს ხავსი კი, დღეის მოცემულობით, სალომეა ზურაბიშვილია. მივიდეთ არჩევნებზე, ხმა მივცეთ ე.წ. დამოუკიდებელ კანდიდატს. დემოკრატიის ამ ფორმასაც გავუსინჯოთ გემო, იქნებ ივარგოს.

ლამარა დ. – დღე და ღამ გაიძახიან, ევროპული კურსით და ამ ევროპაში დაბადებულსა და გაზრდილ ადამიანზე „რუსეთუმეაო,“ იძახიან. არ ვიცი, სად არის ლოგიკა?! რაღაც წვრილმანებს მიედმოედებიან, ქართულად ვერ ლაპარაკობსო, ორი-სამი წელი წავლენ ხოლმე სხვა ქავეყანაში სამუშაოდ და ენა ებმებათ, ქართულად მეტყველება და აზროვნება უჭირთ და ამ ქალს, რომელმაც ყველანაირი განათლება უცხო ენაზე მიიღო, არაქართულ საზოგადოებაში გაიზარდა და მარტო ოჯახურ ტრადიციებზე დაყრდნობით თავადაც საუბრობს ქართულად და შვილებსაც ამ დონეზე ასწავლის ქართულს, საყვედური როგორ უნდა ვუთხრათ. მე, მაგალითად, ცრემლი ვერ შევიკავე, როცა სპორტის სასახლეში მისი ვაჟის გამოსვლა მოვისმინე. ეს ხომ ორ დღეში ნასწავლი ქართული არ არის და მაშინ, როცა მათ დედა ბავშვობიდანვე ასწავლიდა ქართულს, უნერგავდა საქართველოს სიყვარულს, ქალბატონო სალომე პრეზიდენტიბაზე ხომ არ ფიქრობდა, ეს ხომ მხოლოდ პატრიოტული გრძნობით იყო გამოწვეული. მე მჯერა, ქალბატონო სალომე იქნება ძალიან კარგი პრეზიდენტი იმიტომაც, რომ ის ქალია, ეს მისი უპირატესობაა და არა სისუსტე. არ ვკადნიერდები და ანალოგს არ ვავლებ, მაგრამ თამარ მეფეც ქალი იყო. რაღა არ ვცადეთ და ესეც ცვადოთ, მაინც 27 წელია, სულ ექსპერიმენტების რეჟიმში ვცხოვრობთ, იქნებ როგორ გაამრთლოს!

ნიკო ყ. - იმ ხალხს რა ვუთხრა, გრიგოლ ვაშაძეს რომ 37,7% ექნება და დავით უსუფაშვილს სამიც ვერა. ოჯახაშენებულებო, არ მოგწონთ დღევანდელი მთავრობა და არ აძლევ ხმას, ისეთს მაინც მიეცი, ღირდეს... უსუფაშვილისნაირ ჭკვიან, გამოცდილ, პატიოსან პოლიტიკოსს რომ გვერდს აუვლი, რა დავარქვა ამ ყველაფერს, არ ვიცი. სირცხვილი ჩვენ, ქიზიყელებო, ამ კაცის მხარშიდგომა რომ არ გვინდა, მაგრამ ტყუილად კი არ თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ „...ისე დავკორტნითო...“, ასეა და რას იზამ!“

პ.ს. პოლიტიკა ბინძური თამაშიაო, ამბობენ და ასეც არის. სხვა რა დავარქვა ლევან ბერძენიშვილის საქციელს, არ ვიცი. ნუთუ დაავიწყდა თავისი წარსული, 7 ნოემბერი, ქლოშინით რომ გარბოდა და უკან ხელკეტებით და რეზინის ტყვიებით მისდევდნენ... მე მას არა მარტო ტელევიზიით, არამედ პირადადაც ვიცნობ (თურმე არ მცნობებია!), რაც მე მისი საუბრები მომისმენია, ვაღმერთებდი. ახლა გაოგნებული ვარ, რა გაგიჭირდა საამისო, ბატონო ლევან, ვაი, სორცხვილო და თავის მოჭრავ.

ნაირა გორაშვილი

# ფსიქიკური ჯანმრთელობა, გარემო და მედია

***ადამიანის ფსიქიკა სამყაროს ერთ-ერთი გამოცანაა. ის საკმაოდ ფაქიზი სისტემაა, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. დღის განმავლობაში ადამიანი უამრავ უარყოფით ინფორმაციას იღებს, რომელიც გავლენას ახდენს მის ემოციებსა და ფსიქიკურ მდგრადობაზე, განსაკუთრებით — დღეს. ჩვენ ხომ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც სტრესოგენული ფაქტორები მკვეთრად არის მომატებული.***

***ფსიქიკაზე ამ ფაქტორების გავლენა შემდგომ სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობით გამოიხატება, მაგალითად, დეპრესიით, რომელიც დღეს ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური პრობლემაა. ის ყოველ მეოთხე ან მეხუთე ადამიანს ემართება და თვითმკვლელობის ერთ-ერთ უმძლავრეს რისკფაქტორს წარმოადგენს. ამ დროს ფსიქიატრის დახმარება აუცილებელია, მაგრამ მთელ მსოფლიოში არსებობს ერთგვარი სტიგმა: ადამიანებს მიაჩნიათ, რომ დეპრესია სისუსტისა და სიზარმაცის ნიშანია, ამიტომ, უმეტესობა მალავს თავის მდგომარეობას და ცდილობს, დამოუკიდებლად გაართვას თავი. ამან კი, შესაძლოა, სავალალო დასასრულამდე მიგვიყვანოს.***

მას შემდეგ, რაც 34 წლის ანას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, რამდენიმე წელი სახლიდან არ გასულა. ანამ სამსახური დატოვა და დროის უმეტეს ნაწილს ტელევიზორთან ატარებდა: „სამი წელი საერთოდ არ გავსულვარ სახლიდან, მხოლოდ ექიმთან თუ წავიდოდი, ისიც მშობლების თანხლებით. რატომ? მეშინოდა, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის გამო, მეორეს მხრივ - ადამიანების, ვგრძნობდი, რომ ზოგიერთს ეშინოდა ჩემი, ზოგიერთიც კიდევ გამაგრდიო -მეუბნებოდა. არადა, ეს ფრაზა კი არ გამხნევებს, პირიქით, უფრო გკეტავს საკუთარ თავში. თანდათან ყველა შემოგეცლება და მარტო რჩები. ეჰ, რა კარგი გოგო იყოო - სინანულით იტყვიან, თითქოს უკვე აღარ არსებობ, ახალ ცხოვრებაში აღმოჩნდი და მარტო ხარ. ეს ადვილი არ არის.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 76 ათასზე მეტი ადამიანი საქართველოში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებითაა ავად. ამ ადამიანებსა და მათ ოჯახებს ყოველდღიურად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, საზოგადოებაში მათი დიაგნოზისადმი არსებულ წარმოდგენებთან უწევთ გამკლავება. სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა ბევრ ოჯახს აიძულებს, დამალოს დიაგნოზი და უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სპეციალისტთან მისვლისგანაც კი იკავებს თავს.

სტიგმა განსაკუთრებით ძლიერია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებთან მიმართებაში. „ეს საშიშია, ეს სირცხვილია“, — ფიქრობს საზოგადოება, რომლის შიში პირდაპირ უკავშირდება შესაბამისი განათლების არქონას. ამ შიშისა და სირცხვილის სამიზნე ხდება ადამიანი, რომელიც საჭიროებს მკურნალობასა და თანადგომას, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დაავადების მქონე პაციენტი. ფსიქოთერაპევტები აცხადებენ, რომ: „ერთი მხრივ ცუდი ფსიქოსერვისები, აქედან გამომდინარე, ცუდად მოვლილი, საზოგადოებას მოწყვეტილი პაციენტები, რომელთაც უჭირთ ადაპტაცია, მეორე მხრივ ჩვენი კულტურალური დამოკიდებულება — აღრმავებს სტიგმას. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კაცთმოყვარე კულტურა გვაქვს, გვჩვევია სირცხვილის იარლიყის მიკერება სხვადასხვა ქრონიკული დაავადების, პირველ რიგში, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისთვის.

ფსიქიკური დაავადების მქონე პაციენტების მიმართ საზოგადოებაში სტიგმის არსებობა ნაწილობრივ ამ სპეციალობის ექიმებსა და სამკურნალო დაწესებულებებსაც უკავშირდება. ამას აქვს საფუძველი. საბჭოთა კავშირის დროს ფსიქიატრია ერთგვარი დასჯის პოლიტიკური იარაღი



იყო ხელისუფლების ხელში. ბევრი სრულიად ჯანმრთელი, საბჭოთა რეჟიმისათვის მიუღებელი ადამიანი წლების მანძილზე იყო გამომწყვდეული ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, სადაც მათ სასტიკად ეპყრობოდნენ. სწორედ ამის გამო, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, საბჭოთა ფსიქიატრიის სკოლა დასავლეთში ყველაზე არაჰუმანურად მიიჩნეოდა. 1983 წელს მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციამ საბჭოთა ფსიქიატრთა საზოგადოების გარიცხვა გადაწყვიტა, რის შესახებაც წინასწარ მიიღო ინფორმაცია კგბ-მ და საბჭოთა ფსიქიატრთა საზოგადოებამ თავად დატოვა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაცია. საბჭოთა ფსიქიატრიის მემკვიდრეა ქართული ფსიქიატრიული სკოლაც. ქვეყნის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მძიმე პირობები კი, ბოლო წლებში, არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მსჯელობის საგანი.

საქართველოში, პაციენტის გარდა, ოჯახთან მუშაობაცაა საჭირო, რომ ისინი სტიგმის მსხვერპლად არ იქცნენ. როცა ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანი აღმოჩნდება ოჯახში, ოჯახის წევრები ეძებენ გზებს მის დასახმარებლად. გარდა ამისა, აწყდებიან ფინანსურ პრობლემებს, რადგან კარგი ფსიქოსერვისი, თუნდაც მხოლოდ პრეპარატები, საკმაოდ ძვირია. მეორე მხრივ, ოჯახის წევრებს უჩნდებათ სერიოზული პრობლემა — ბრალეულობის განცდა, იმის გამო, რომ მათი ოჯახის წევრს ეს „დაემართა“, ეშინიათ საზოგადოებრივი აზრის. მთელს ოჯახს სჭირდება ფსიქოგანათლება და დახმარება იმისთვის, რომ გაუმკლავდნენ ამას, რომ თავი არ იგრძნონ დაჩაგრულად, გარიყულად. საჭიროა სწორი, ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება იმ პრობლემის შესახებ და კომპლექსური მხარდაჭერა ადამიანის ღირსების შელახვის გარეშე. ეს შესაძლებელია სტაციონარის გარე სერვისის გაძლიერებით, რეაბილიტაციის როლის გაზრდით. ეს ოჯახსაც დაეხმარება, პრობლემის მქონე ადამიანსაც, ანუ სტიგმა და სხვა პრობლემები შემცირდება.

*(გაგრძელება გვ.6)*

# უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან — ის, რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ

**ევროპის კავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. ევროკავშირის წევრი ევროპის 28 სახელმწიფო 4 ძირითად თავისუფლებას ემყარება: კაპიტალის, ადამიანების, რესურსებისა და შრომითი მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას. საქართველო, შრომითი მუშახელის თავისუფალი გადაადგილების გარდა, ყველა ამ თავისუფლებით ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ სარგებლობს. საქართველოს მოქალაქეებს, მოკლევადიანი ვიზიტით, ვიზის გარეშე გამგზავრება ევროკავშირის /შენგენის წევრ ქვეყნებში შეუძლიათ. ესენია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, შვედეთი, უნგრეთი, ფინეთი. უვიზო მიმოსვლა არ ეხება დიდ ბრიტანეთს და ირლანდიას. ამ ორ ქვეყანაში გასამგზავრებლად შესაბამის საკონსულო დაწესებულებას უნდა მიმართოთ. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ ეხება გრძელვადიან ვიზიტებს. მაგალითად, უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით. მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. 180 დღიდან 90 დაშვებული დღის გამოყენება შეგიძლიათ გადაბმულად ან დღეების გადანაწილებით. 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ საჭიროა, დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს, უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში. უვიზო მიმოსვლის პირობებით გათვალისწინებული 90 დღის განმავლობაში მოკლევადიანი ვიზიტის მიზანი სხვადასხვა შეიძლება იყოს:**

- **ტურისტული მოგზაურობა;**
- **ოჯახის წევრების/ნათესავების/ახლობლების მონახულება;**
- **საქმიანი შეხვედრების, მოლაპარაკებების გამართვა;**
- **საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და გამოფენებში მონაწილეობა;**
- **კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;**
- **სამედიცინო სერვისებით სარგებლობა- მოკლევადიანი სამკურნალო კურსი/ოპერაცია და ა.შ.**

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შესახებ საინფორმაციო კამპანიები მისი მიღებისთანავე დაიწყო და დღემდე გრძელდება. კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა 26 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამართეს.

საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეები ევროკავშირის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის პირობებს კიდევ ერთხელ გაეცნენ. **საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის (GCSD) ევროკავშირის პროგრამების დირექტორმა,** გოგიტა ღვედაშვილმა, ისაუბრა, იმ ძირითად საკითხებზე, რომლის შესრულებაც აუცილებელია ევროკავშირში უვიზოდ გამგზავრების დროს. მათ შორისაა: აუცილებელი საბუთების არსებობა, ვიზიტის ხანგრძლივობა, მისი მიზნები, სასაზღვრო კონტროლის მოთხოვნები და ა.შ. საუბარი შეეხო იმ რისკებსაც, რომელიც შესაძლოა მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევის ან თავშესაფრის მიღების პროცედურების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში შეექმნათ. „თუკი ვილაცის ნაცნობობით მიდიხართ, თქვენ არ გაქვთ არანაირი გარანტიები, არ ვრცელდება თქვენზე ის სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეები, როგორიცაა დაზღვევა, საბუთების დაცულობა, თუ სხვა, რაც ჩვეულებრივ ვრცელდება კანონიერი შრომით დასაქმებულ მუშახელზე, თქვენ გაქვთ ნაკლები ანაზღაურება თუ არალეგალურად ხართ შრომით საქმიანობაში ჩართული" - აღნიშნა მან.

საუბარი შეეხო იმ რისკებსა თუ პრობლემურ საკითხებს, რომელიც დღეს საქართველოსთვის და მისი მოსახლეობის წინაშე დგას. დეპორტაციის სტატისტიკა, საზღვრიდან უკან გამოშვების შემთხვევები, დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობა, უსაფუძვლო და არაარგუმენტირებული საცხოვრისის მოთხოვნა (2016 წელს 7500-მა ადამიანმა მოითხოვა საცხოვრებელი და აქედან საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2%-მა გააკეთა ეს ლეგალურად), საზღვარგარეთ სამუშაო კვოტების არსებობა და ა.შ. „გამოიკვეთა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მოქალაქეებს ჰპირდებიან უცხოეთში წაყვანას და დასაქმებას. ეუბნებიან მათ, რომ არ სჭირდებათ არსად მისვლა, არანაირი საბუთების გაკეთება, ეუბნებიან, უპირობოდ წაგიყვან ყველანაირი საბუთების გარეშე და იმუშავებთ შეუზღუდავად ევროკავშირისა და შენგენის ზონაშიო, რაც არის იმთავითვე ტყუილი და გამორიცხული. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია წავიდეთ უვიზოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და იქ მოვძებნოთ სამსახური, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ დაგვჭირდება კონტრაქტი, რადგან თავისთავად ცხადია, რომ დამსაქმებელი სხვანაირად არ აგიყვანთ. ევროკავშირში შიდა რეგულაციები აქვთ, დამსაქმებელმა უნდა გამოგიგზავნოთ კონტრაქტი, შეათანხმოთ კონტრაქტის პირობები. როდესაც თქვენ ეს კონტრაქტი გექნებათ, შესაბამისი ქვეყნის საელჩო გასცემს ამ კონტრაქტზე დაყრდნობით ლეგალურად მუშაობის ნებართვას და დამსამებელი თანახმაა აგიყანოთ, გადაგიხადოთ შესაბამისი ანაზღაურება, იქნება ეს 3 თვე, 6 თვე თუ 1 წელი. მანამ, სანამ ეს კონტრაქტი გექნებათ. თუ მისი ამოწურვის შემდეგ იგივე დამსაქმებელთან ან სხვაგან გააგრძელებთ კონტრაქტს, ამ საკითხზე საელჩოსთან კომუნიკაცია იგივენაირად მოხდება" – განაცხადა მან.




გოგიტა ღვედაშვილმა საუბარში ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი და შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რასაც მას ევროკავშირის სტაბილური და მაღალპროდუქტიული ბაზარი სთავაზობს, რადგან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. ის არ იბეგრება საზღვარზე, რაც საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოოს ადგილობრივად და საზღვარგარეთ ხარისხიანი, შემოწმებული პროდუქტი გაიტანოს. გარდა ამისა, საქართველოდან 30%-ით არის გაზრდილი იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ და მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამებში (ERASMUS +). მათი გამოყენების თვალსაზრისით საქართველო ტოპ ათეულშიც ხვდება. „ბევრი რეფორმები გავატარეთ იმისთვის, რომ მიგვეღო უვიზო მიმოსვლა და ჩამოგვეყალიბებინა ისეთი სისტემები, რომლებიც ეფექტიანად იმუშავებდა ქვეყნის შიგნით: მათ შორის საზღვრის მართვა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენი მიგრაციული ნაკადების მართვისთვისაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, ჩვენი მოქალაქეები სად მიდიან, რათა ისინი იყვნენ დაცულნი და თავს გრძნობდნენ უსაფრთხოდ. იმისთვის, რომ ჩვენი პასპორტის გაყალბება კიდევ უფრო რთული იყოს"- აღნიშნა გოგიტა ღვედაშვილმა.

უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, ერთ წელიწადში, საქართველოდან 400,000-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში. საქართველოს მოქალაქეების მხრიდან დარღვევები არის, ევროკავშირმაც გაამკაცრა უვიზო მიმოსვლის წესები, მაგრამ გოგიტა ღვედაშვილის თქმით, ეს განგაშის საფუძველი ჯერ-ჯერობით არაა: „დარღვევების მასშტაბი დღეს არ არის ისეთი მაღალი, რომ შეჩერების მექანიზმის ამოქმედების წინაშე ვიდგეთ, მაგრამ ფაქტია ის, რომ დღეს ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანაშიც კი, თუ ერთ წელიწადში, 50%-ით მეტი მოითხოვს თავშესაფარს, ეს უკვე რეალურად შექმნის საფუძველს იმისთვის, რომ ამ ქვეყანამ საქართველოსთან მიმართებაში დააყენოს შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საკითხი. თუ ჩვენ კეთილსინდისიერად არ ვისარგებლებთ ყველა იმ სიკეთით, რასაც ევროკავშირი გვთავაზობს, სამწუხაროდ მაღალია რისკი იმისა, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერების წინაშე აღმოვჩნდეთ".

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმსაც მოიცავდა, სადაც განიხილეს განათლებისა და სამუშაოდ წასვლის მსურველთა კითხვები. მასშტაბური საინფორმაციო კამპანია საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# ევროკავშირი — გზა წარმატებისკენ

***ჩვენი ქვეყნის ვექტორი დასავლეთისკენ რომ არის მიმართული, ამაში მეორე აზრი არ არსებობს. ამ კუთხით ჩვენმა მთვრობამ არაერთი ნაბიჯი გადადგა, როგორც ხალხთა ურთიერთობის (უვიზო მიმოსვლა), ასევე ეკონომიკური კუთხით. მუშაობს არაერთი პროგრამა. დღეს ჩვენ განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს - DCFTს, მის არსს, შედეგებს, განვითარების ღონისძიებებს და სამომავლო გეგმებს.***

***ევროკავირის მიერ საქართველოში დაარსებულია პროექტი – „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-სა და მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის განხორციელებისათვის ეფექტური მოდელის შექმნა". ვესაუბრებით აღნიშნული პროექტის ფარგლებში შექმნილ ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს წევრს, ბიზნესმენ გიორგი კიკილაშვილს.***

***– ბატონო გიორგი, პირველ რიგში ავუხსნათ მკითხველს, თუ რას წარმოადგენს DCFTA და საიდან შეიქმნა ეს აბრივიატურა?***

საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას (ბიზნესმენი, ფერმერი, პედაგოგი, ექიმი, მამაკაცები, ქალბატონები და სხვა) აინტერესებს, თუ როგორ იშიფრება ინგლისური აბრევიატურა (**DCFTA**), რომელსაც ასე ხშირად საუბრისას იყენებენ პოლიტიკოსები, მაღალჩინოსნები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა. აბრევიატურა DCFTA-ს ქართული შესატყვისი გაშლილ ვარიანტში არის შემდეგი: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე", რომელიც არის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირებული ხელშეკრულების ნაწილი.

აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასევე ამ მიმართულებით საინტერესოა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ევროპულ ასოციაციასთან **(EFTA)**, რომელშიც შედის ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი. **EFTA**-ს ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2016 წლის ივნისში და ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბიდან.

ბუნებრივია, დაისმება შეკითხვა, რა სარგებელი მოაქვს ბიზნესისათვის, საქართველოს რიგითი მოქალაქისათვის და ზოგადად საქართველოს ეკონომიკისათვის აღნიშნულ ხელშეკრულებებს? ან როგორია საქართველოში **DCFTA**-ს განხორციელების ტემპები?

საქართველოში ეროვნულ დონეზე **DCFTA**-ს იმპლიმენტაციის კოორდინირება და მონიტორინგი დავალებული აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ხოლო აღნიშნული სამინისტრო **DCFTA**-ს დანერგვა-განხორციელებას ახდენს სხვადასხვა სფეროზე პასუხიმგებელ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად. როგორიცაა: „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა", „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო" და სხვა. აქვე გაცნობებთ, რომ **DCFTA**-ს შესახებ პრაქტიკული და სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეიქმნა ოფიციალური ვებგვერდი **www.dcfta.gov.ge.** ევროკავშირის მხრიდან -ევროკომისია და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS) არიან პასუხისმგებლები დაეხმარნენ საქართველოს მის მიერ **DCFTA**-ით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში.

***– რა მთავარი ღირებულებები შემოაქვს ამ ხელშეკრულებას?***

- **DCFTA**-ს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შემოაქვს საშეღავათო სავაჭრო რეჟიმი, რათა გაიზარდოს ბაზარზე წვდომა ამ ქვეყნებს შორის. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, **DCFTA** -ს შემოსვლამდე (2015 წელი) ევროკავშირის წილი საქართველოს ვაჭრობის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 27%-ს, ხოლო 2016 წელს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელმაც საქართველოს ვაჭრობის მთლიანი მოცულობის 31% დაიკავა. ევროკავშირიდან ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან: ბულგარეთი, იტალია და გერმანია. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ევროკავშირის ვაჭრობის მთლიანი მოცულობის 0,1%-ს იკავებს და იმედია **DCFTA**-ს გონივრული გამოყენებით ეს პროცენტი მკვეთრად გაიზრდება.

იმისათვის, რომ გაიზარდოს სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან, საჭიროა შესაბამისი აქტივობები, როგორც საქართველოს მთავრობის მხრიდან, ასევე ქართველი მეწარმეების მხრიდან. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ქართული კანონმდებლობის, ნორმებისა და რეგულაციების ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ასევე საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან ერთად ქართველი მეწარმეების დახმარებისა და ხელშეწყობის მიზნით ახდენს სხვადასხვა პროგრამების ინიცირებას. რაც შეეხება ქართველ მეწარმეებს, მათ სრულად უნდა გამოიყენონ ის შესაძლებლობები და პრეფერენციები (უპირატესობები), რასაც იძლევა **DCFTA** -ს შეთანხმება. ბიზნესოპერატორებმა, ვისაც სურთ, რომ ჩაერთონ ევროკავშირის ერთიან ბაზარში, უნდა დანერგონ ახალი რეგულაციები (ინფრასტრუქტურის გადაიარაღება) და ევროკავშირის სტანდარტების შესამამისი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება.

ასოცირების შესახებ შეთნხმებისა და **DCFTA**-ს ხელმოწერის შემდეგ, თითქმის ოთხი წელია, რაც საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს იმისთვის, რომ გახდეს სრულფასოვანი ევროპული ქვეყანა. ამ დროის განმავლობაში, საქართველოს მთვრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ევროკავშირთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ სხვა ქვეყნებთნ ეკონომიკის, ვაჭრობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების, ძირითდი თავისუფლებებისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი აშკარაა, როდესაც შევხედავთ სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთაშორისო დამკვირვებლების

(გაგრძელება გვ.5)

# საკითხი, რომელიც აქტუალობას არ კარგავს...

***„ტკბილი ოჯახი“ – ეს სიტყვები დღეს უსაშველოდ ძველმოდურად ჟღერს. ოჯახური უთანხმოებების გამო სახლი ბრძოლის ველს ემსგავსება. უგულო ურთიერთობებით კი მშვიდი ატმოსფეროს შექმნა შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში მოზარდების უმეტესობას სხვისი ცუდი მაგალითი არ მოსწონს და ერთი შეხედვით მხარსაც არ უჭერს. მაგრამ, თუ მშობლები ეტყვიან, რომ მიალაგონ ოთახი, შეასრულონ საშინაო დავალება ან სახლში დროულად დაბრუნდნენ, ბრაზდებიან ან, უფრო უარესი, დემონსტრაციულად არ ემორჩილებიან მათ.***

რატომ უნდა სცეთ პატივი მშობლებს? ზოგჯერ შეიძლება არ ეთანხმებით სახელმწიფო მმართველს, მაგრამ მისი პოზიცია თუ სამსახური მაინც პატივისცემის ღირსია. ასევეა ოჯახშიც. მშობლები გარკვეული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი. ეს ნიშნავს, რომ უნდა აღიაროთ მათი უფლება – დაგიდგინონ წესები. ისიც ფაქტია, რომ საუკეთესო მშობლებიც კი შემთხვევით, შეიძლება უნებურად, უსამართლოდაც კი მოგექცნენ. მაგრამ, მშობლების წესები, ჩვეულებრივ, სასიკეთოა და მათივე მხრიდან ნამდვილი სიყვარულისა და ზრუნვის გამოხატულებაა.

**- სადამდე მივყავართ თაობებს შორის უთანხმოების გამოძიებას?**

მარიამი (XII კლასის მოსწავლე): - დამრიგებელთან და დირექტორთან კარგი ურთიერთობა მაქვს, რადგან ისინი ჩვენ, ბავშვებს, ყოველთვის გვისმენენ. განსაკუთრებით მომწონს ის, რომ დამრიგებელთან სხვადასხვა თემის განხილვა და გაზიარება შემიძლია. მახსოვს, ბოლოს 51-ე სკოლაში მომხდარ ტრაგედიაზე ვისაუბრეთ, რადგან ამ შემთხვევაზე ყველას სურდა ერთმანეთის აზრის გაგება. ძალიან რთულია იმის შეფასება, რაც მოხდა. საბოლოოდ, უმეტესობა შევთანხმდით, რომ სახელმწიფო უფრო მკაცრი უნდა იყოს. გარდა ამისა, დიდი წვლილი მიუძღვის იმ გარემოს, სადაც ვიზრდებით. ვფიქრობ, რომ საზოგადოება გულგრილი და ცივია ერთმანეთის მიმართ და ეს შემთხვევაც გულგრილობამ გამოიწვია.

**მარიამ, როგორ ანაწილებ დროს ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისთვის?**

– რამდენიმე საგანში ვემზადები. ვერც კი წარმომიდგენია, რომ ვინმე, კერძო სკოლის მოსწავლე იქნება თუ საჯაროსი, დამატებით მასწავლებელთან არ დადიოდეს. მითუმეტეს, თუ აბიტურიენტია. მთავარი პრობლემა გადატვირთული კლასებია. ჩვენ, თანამედროვე ბავშვებს, არ გვრჩება თავისუფალი დრო არც ურთიერთობებისთვის, არც მშობლებისთვის და არც საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. მე და ჩემს მეგობრებს ნახევარი საათიც კი არ გვაქვს თავისუფალი. მთელი დრო სკოლისა და დამატებითი დავალებების შესრულებას მიაქვს. რაც შეეხება ურთიერთობებს, მიმაჩნია, რომ ჩემი თანამოაზრეები, ძირითადად, ჩემი თანატოლები არიან. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ჩემი დასკვნით უფროსებთან ურთიერთობა მარტივი არ არის. მესმის, რომ თაობები განვსხვავდებით და საკუთარი შეხედულებები გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვე ისეთი საკითხი, რომელზეც მე, დედაჩემი და ბებია ერთნაირად ვფიქრობდეთ. ჩემი აზრით ასეთი საკითხი არც არსებობს.



**მარიამის დედას ვკითხეთ, რა ზომებს მიმართა შვილთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის.**

ნინო (მარიამის დედა) - დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ შვილთან ჯანსაღი ურთიერთობა ჩამომეყალიბებინა. დახმარებისათვის ფსიქოლოგს მივმართე. მისივე დახმარებით ვიმუშავეთ ჩვენს თავზე და გამოვიმუშავეთ ურთიერთპატივისცემის უნარი.

**– რას ურჩევდით დღევანდელი თაობის „მშობლებს“?**

– ურთიერთობის დალაგების შემდეგ ველარ ვიხსენებ შემთხვევას, როდესაც მარიამი სკოლიდან გაღიზიანებული ან გაბრაზებული დაბრუნებულიყო. გარდატეხის ასაკში, როგორც ყველა ბავშვი, ისიც ნაკლებად გვიზიარებდა თავს გადამხდარ ამბებს. თუმცა, ეს პრობლემა აღარ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი პრობლემა ბევრს აქვს, თუმცა, გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

**– რას ურჩევ დღევანდელ თაობას, შენს თანატოლებს?**

მარიამი – მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ადამიანს უნდა მოუსმინო და მოუძებნო გასაღები, რომელიც მასთან ურთიერთობაში დაგეხმარება, მაგრამ ეს ორმხრივი უნდა იყოს. უფროსებთან ურთიერთობის მთელი სირთულე საერთო ენის გამონახვაა. მე ბედნიერი ვარ, რომ ფსიქოლოგის დახმარებით ეს პრობლემა უმტკივნეულოდ მოვაგვარე.

გაზეთი „შირაქი“ ამ საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგს, ბესო გიგოლაშვილს გაესაუბრა.

**– ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგი და ფსიქიატრი მშობლებს ერთმანეთში ერევათ, რის გამოც არ სურთ ფსიქოლოგის დახმარება. თუ შეგიძლიათ განგვიმარტოთ რა სხვაობაა ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს შორის და რატომ უნდა მიმართონ მას მშობლებმა დახმარებისათვის?**

– სამწუხაროდ ჩვენთან არ იციან, მაგრამ, მარტივად რომ ვთქვათ, ფსიქოლოგი, ნორმალურ საზოგადოებრივ ვითარებაში, ფსიქიკურ პროცესებს, მდგომარეობებს და ფსიქოლოგიური ტიპის ურთიერთობებს შეისწავლის. ფსიქოთერაპიას მცირეოდენი დარღვევებისა და გადახრების კორექტირება და ნორმალიზება აკისრია. მისი მიზანი, ძირითადად, ეს არის. ფსიქოლოგთან უნდა მიხვიდე მაშინ, როცა ნორმალური, ცხოვრებისეული, სიტუაციური ვითარებაა, ხოლო ფსიქოთერაპია უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ნერვოზული გამოვლინებებია. ფსიქოლოგის ჩარევა საკმაოდ ნორმალური მოვლენაა, ოღონდ მეორე უკიდურესობაა ის, რომ არ უნდა მოხდეს მთლიანად ფსიქოლოგზე დამოკიდებულება. ე.ი ნორმასა და გადახრას შორისაა მხოლოდ განსხვავება.

**– როდის და რა ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს მშობელმა, მიმართოს თუ არა ფსიქოლოგს?**

– ძალიან კარგი კითხვაა და რატომ? თუკი მშობლის მიერ თავისი მშობლიური აღზრდის გარკვეული ტაქტიკა და სტრატეგია წინასწარ ჩამოყალიბებულია, მას არ დასჭირდება, რომ ადრევე მიაკითხოს ფსიქოლოგს. ეს გარკვეულწილად უკვე შედეგია. მართებულად აღზრდა თავის დადებით შედეგებს მალევე იძლევა. მაგრამ, თუ რაღაც პრობლემის გამორჩენაა ან ისეთ საკითხთან გვაქვს საქმე, რომ თვითონ ვერ გადაუწყვეტია, მაშინ სასურველია, მიაკითხოს ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალისტს.

**– სჭირდება თუ არა მშობელს/შვილს ფსიქოლოგთან ვიზიტისას წინასწარ მომზადება?**

– საყოველთაოდ მიღებულ ნორმად ეს ვერ იქცევა, მაგრამ გათვალისწინება და წინასწარ კონსულტირება ცუდი არ იქნება. აი მაგალითად, როდესაც მშობლებს ჰყავთ შვილი და ელოდებიან მისი აღზრდის პროცესს, სასურველია, ერთი ან ორი კონსულტაცია გაიარონ, სასარგებლოს ყველა შემთხვევაში გაიგებენ. დაგვიანებას ადრე მისვლა სჯობია. სასურველი იქნება, ფსიქოლოგთან მისვლამდე წინასწარ მომზადება. ეს მხოლოდ გაუადვილებთ მათ საქმეს. მაგრამ აუცილებელი და გარდაუვალი არ არის.

**– რამდენად ეხმარება მშობლის სწორი მიდგომა შვილს საზოგადოებასთან ინტეგრირებაში?**

– ეს ჩვენი ძირითადი პრობლემა და ძალიან აქტუალური საკითხია. როდესაც მშობელი აწვდის შვილს გარკვეული ქცევის სწორ, მართებულ მოდელირებას, არამარტო მისთვის იქნება კარგი, არამედ გარშემომყოფებისთვისაც. თუკი ქცევის მართებული, საზოგადოებრივად, ზნეობრივად, რაციონალურად გამართლებული ქცევის ნორმა და ღირებულებათა ორიენტაცია მიაწოდა, მაშინ პრობლემა საერთოდ არ შეექმნება არაფერზე. არიან მშობლები, რომლებიც ძალიან კარგად ზრდიან შვილებს, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ცოტა ქვეცნობიერად თუ ხანდახან გაცნობიერებულად, ხშირად ვზრდით შვილებს სამომხმარებლო და არა ქმნადობის ორიენტაციით. საზოგადოებაში თუ პრობლემაა, ეს არამხოლოდ იმიტომ, რომ რესურსები არ არის საკმარისი, არამედ იმიტომ, რომ ამ რესურსებს ითვისებს ხშირ შემთხვევაში ის, ვისაც ეს არ ეკუთვნის. 2300 წლის წინ ციცერონმა გენიალური სიტყვები თქვა: „რაც გინდა, ყველაფერი კი არ გეკუთვნის“.

**– რას ურჩევთ მშობლებს ვისაც „თინეიჯერი“ შვილები ჰყავთ და უჭირთ მათთან საერთო ენის გამონახვა?**

– საკმაოდ აქტუალური კითხვაა. უპირველეს ყოვლისა, ვურჩევდი, რომ დაინახონ საკუთარ შვილში პიროვნება და ამ პიროვნებაში ღირებულებები. არ უყურონ მარტო როგორც შვილს. როდესაც ის იზრდება, გარდა შვილისა, მასში პიროვნების კომპონენტიც იზრდება. ხანდახან კი პიროვნების კომპონენტი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მარტო შვილის. მაგალითად, დაახლოებით 15-20 წლის წინ, როდესაც ერთ-ერთი ფირმის კონსულტანტი ვიყავი, ვნახე ურთიერთსაწინააღმდეგო ფირმებში მომუშავე მამა და შვილი. სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ. მაგრამ, სამუშაო ატმოსფეროში, რომ მოხვდნენ, ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვივნენ, მოიკითხეს. ბრწყინვალედ იცოდნენ ერთმანეთი და ფირმების პოზიციებსაც იცავდნენ. აი აქ, საქართველოში ცოტა ჭირს ამ საკითხის გარჩევა. ე.ი ჩვენ ხშირად უნდა გავარჩიოთ ჩვენი შვილი, როგორც პიროვნება და ჩვენი შვილი, როგორც ჩვენი სულიერი და ფიზიკური ერთობა.

**– არის თუ არა ფსიქოლოგი „წარმატების გასაღები“ მშობლისა და შვილის ურთიერთობაში?**

– ყოველთვის ნამდვილად ვერ იქნება, იმიტომ რომ ეს არ არის პანაცეა. ფსიქოლოგია ეს არ არის სამუშაო ტექნოლოგია და სარწმუნოებრივი დოგმა, რომ მას ბრმად მივენდოთ. რიგ შემთხვევაში შეიძლება სწორიც კი იყოს, მაგრამ, მთავარია, განიტვირთოს კონფლიქტი და შეუსაბამობა. ფსიქოლოგის ძირითადი ამოცანაც ეს არის.

და ბოლოს, პატივისცემა მხოლოდ ფორმალური თავაზიანობა ან უკმაყოფილო მორჩილება არ არის. „პატივი ეცი მშობლებს“ ნიშნავს, რომ მიიღოთ მათი შენიშვნები, დარიგებები და ამის შემდეგ არ გაიბუტოთ ან არ აფეთქდეთ. გახსოვდეთ ახალგაზრდებო! გიყვარდეთ მშობლები და გაუფრთხილდით მათთან ურთიერთობას. მშობელს გულს ნუ ატკენთ. თქვენც მომავალი მშობლები ხართ. მოექეცით მათ ისე, როგორც თქვენ მოისურვებთ, რომ მოგექცნენ თქვენი შვილები.

ინესა ამბარიანი

# ევროკავშირი — გზა წარმატებისკენ

(მეოთხე გვერდიდან)

მიერ გაკეთებულ შეფასებებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სტატისტიკა საქართველოს კვლავ განვითარებად ქვეყნად წარმოაჩენს, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებასა და DCFTA-სთან შეერთების შემდეგ მიღწეული პროგრესი მაინც აშკარაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ გააუმჯობესა მისი საერთო მაჩვენებელი და 138 ქვეყანას შორის 66-ე ადგილიდან (2015-2016 წლები) 59-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2017 წლის ბიზნესის კეთების სიმარტივის ანგარიშის თანახმად, საქართველო იკავებს მე-9 ადგილს 190 ქვეყანას შორის. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ 2016 წელს მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო თანდათანობით ამცირებს კორუფციის დონეს - იგი იკავებს 44-ე ადგილს 176 ქვეყანას შორის (წინსვლა 2014 წელს დაკავებულ 50-ე და 2015 წლის 48-ე ადგილთან შედარებით) და არის პირველი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. ეს მხოლოდ რამდენიმე მიღწევაა, მას შემდეგ, რაც ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ს იმპლემენტაცია დაიწყო.

***– რას ნიშნავს DCFTA ქართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) და რაში გამოიხატება ევროკავშირის მხარდაჭერა?***

– 2017 წლის ზაფხულში ჩატარებულმა ქართულმა მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მსს-ს (მცირე და საშუალო საწარმოების) ჩართულობა ექსპორტთან დაკავშირებულ აქტივობებში შედარებით მცირეა და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ჩართულობის კუთხით. გამოკითხულ 559 რეგიონალური მსს-დან მხოლოდ 23%-მა მიუთითა, რომ მათ ექსპორტზე გააქვთ თავიანთი პროდუქცია. უფრო მეტიც, იმ ყველა მსს-ს შორის, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ, 15%-ს პროდუქცია გააქვს მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო 27%-ს ორივეგან - როგორც ევროკავშირის წევრ, ისე მის არაწევრ ქვეყნებში. თუმცა, უმრავლესობას, 58%-ს საქონელი მხოლოდ ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში გააქვს. ქართული მსს-ებისთვის სამ ძირითად საექსპორტო მიმართულებას წარმოადგენს რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. საექსპორტო ქვეყნების პირველ ათეულში ევროკავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანია (მესამე ადგილი), იტალია (მეშვიდე ადგილი) და საფრანგეთი (მეათე ადგილი) გვხვდება.

DCFTA-ს საქართველოში იმპლემენტაცია გავლენას იქონიებს ყველა ბიზნესზე და არა მხოლოდ მათზე, ვისაც ევროკავშირში გატანა სურთ. იგივე ვრცელდება ქართულ მსს-ებზეც. მაგალითად, DCFTA-ს იმპლემენტაცია მოითხოვს, რომ საქართველომ თავისი სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას შეუსაბამოს, რაც ნიშნავს იმას, რომ შერჩეული სექტორის ყველა ქართველი მწარმოებელი ვალდებული იქნება, დაემორჩილოს ახალ მოთხოვნებს. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს პროდუქტის ხარისხსა და მის უსაფრთხოებას მომხმარებლისთვის, არამედ საშუალებას მისცემს პროდუქტს, რომ მზად იყოს ექსპორტზე გასატანად მსოფლიო მასშტაბით.

პროდუქტის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობა არ იქნება ადვილი ადგილობრივი მწარმოებლებისათვის. ამას დასჭირდება დრო, დამატებითი უნარები, ნოუ-ჰაუ და ფინანსური ინვესტიციები. საქართველოში მსს-ებისთვის საოცრად რთულია ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე. საპროცენტო განაკვეთი სესხზე ინდივიდუალური მეწარმისთვის საშუალოდ 23%-ს აღწევს, ხოლო იურიდიული პირებისათვის საშუალოდ - 15,5%-ს. მთავრობამ სცადა გამკლავებოდა ამ საკითხსაც ბენეფიციარებისათვის საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების გზით, თუმცა არც ისე ბევრმა მსს-მ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, ძირითადად იმიტომ, რომ მათ ვერ შეძლეს დაეკმაყოფილებინათ ბანკის მოთხოვნები სესხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომლებიც სესხის ღირებულების 220%-ს ითხოვენ უზრუნველყოფის სახით.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ საქართველოში რეალურად არის პოტენციალი, რათა ქართული პროდუქტი გავიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენებას სჭირდება ადექვატური ძალისხმევა როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებიდან, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისგან.

**ესაუბრა**
ნაირა გორაშვილი

# ერთი ოჯახის და მთელი ქვეყნის ტრაგედია!

**დღეს, როგორც არასდროს, მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერი ასაკის ადამიანთა უფლებები ირღვევა, მათ შორის ბავშვების. ჩვენი შვილები ჩვენი ქვეყნის მომავალია, ასეა ყველგან. სახელმწიფოთა განვითარებისა და წინსვლის ვერტიკალი მომავალ თაობებზეა დამყარებული.**

რამოდენიმე დღის წინ გორში 9 წლის გოგონას შემზარავი მკვლელობის მომსწრე გახდა სრულიად საქართველო, დაიზაფრა ქვეყანა, წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმულმა ერმა გონს მოსვლა და ფაქტის გააზრება ძლივს მოახერხა, ერი თუ ბერი ერთიანად სიმწრისგან ცახცახებდა: ვინ არის ასეთი სისასტიკის ჩამდენი, რატომ დადის წყნარად და შეუმჩნევლად დღეს ქუჩაში ამდენი მანიაკი და დაუსჯელია, რატომ ხდება, რომ, გზა და გამოსავალი მანამდე არ ჩანს, „სანამ ურემი არ გადაბრუნდება“, როგორ უნდა დავიცვათ და რა პრევენციული ზომები უნდა მივიღოთ, რომ ავარიდოთ ჩვენი შვილები ასეთ ტრაგედიას, ვინ ან რა იცავს ბავშვებს ასეთი მოულოდნელი თავდამსხმელებისგან? ამ კითხვებზე პასუხებისთვის კვლავ ჩვენს ერთგულ მკითხველს მივმართეთ. დღეს ჩვენი რესპოდენტები არიან ფსიქოლოგები, ხოლო თუ როგორი პრაქტიკა და ტაქტიკაა არჩეული ევროპის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოში, ამაზე გერმანიიდან ჩვენი იურისტი თანამემამულე გვიპასუხებს.

მირანდა ბაკურაძე, **ფსიქოლოგი, 4 შვილის დედა:** შემძრა ამ საშინელმა ტრაგედიამ. მეც დედა ვარ .... უსაზღვროა ამ ტრაგედიის მასშტაბი, მოუნელებელი ტკივილი და შეუხორცებელი ჭრილობა. ძნელია იმის გააზრება, რომ პატარა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელიც ხარობდა ცხოვრებით, აღარ არის. ადამიანი, რომელმაც ეს საშინელება ჩაიდინა, სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებს.

ძალიან ძნელია, მიიღო პრევენციული ზომები, იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოებაში ფარულად არიან ასეთი ადამიანები, ძნელია, ამოიცნო მათი მანიაკალური გადახრები.

ისმის კითხვები-როგორ ავუკრძალოთ ბავშვებს უცხო ადამიანებთან ურთიერთობა?! რა შეიძლება გავაკეთოთ ამ შემთხვევაში?! როგორ დავიცვათ ჩვენი შვილები ამ საფრთხისგან?! როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია ბავშვებს, რომ არ შევაშინოთ, არ დავაკომპლექსოთ და ზიანი არ მივაყენოთ მათ სათუთ ფსიქიკას?! - ეს კითხვები მუდმივად აწუხებს ყველა მშობელს.

ყველა ბავშვი ინდივიდუალური ხასიათის მქონეა და ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს მიწოდებულ ინფორმაციას, თუმცა, მაინც უნდა ვუთხრათ, რომ თავი შეიკავონ უცხო ადამიანებთან კონტაქტისაგან.

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენ შვილებს სახლშიც და გარეთაც.

მთლიანად ჩვენს ქვეყანას სჭირდება ნაკლები ღვარძლი, ნაკლები ბოროტება, მეტი სიკეთე, მეტი სიყვარული, მეტი პოზიტივი, მეტი მაგალითი ვაჟკაცობის და მამულიშვილობის, მეტი გამარჯვება სოციალური, კულტურული და ეკონომიკური.

ილია, **იურისტი, (გერმანიაში მცხოვრები)** - რა გითხრათ, რით გაგახაროთ, ევროპაში მაგნაირ სულით ავადმყოფებს ისეთ ციხეში და პირობებში აცხოვრებენ, სამ ვარსკვლავიან სასტუმროს შეშურდება, ყოველშემთხვევაში, გერმანიაში ასეა! მე, პირადად, ბევრი ფსიქოლოგის და ფსიქიატრის დასკვნა წამიკითხავს და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ასეთი ავადმყოფები არ იკურნებიან, ამიტომ, ქვეყნები, სადაც ისევ შარიათის კანონები მოქმედებს, პედოფილებს, მამათმავლებს და ამგვარი გარყვნილი ადამიანების ჯგუფს სიკვდილით სჯიან! მსგავს ადამიანებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასაჭურისებენ, რომ იგივე საშინელება ფიზიკურად ველარ ჩაიდინოს, ამერიკაში, მაგალითად, კონექტიკუტის შტატში ელექტროსკამით სჯიან.საქართველოში რაც შეიძლება გაკეთდეს, ისაა, რომ პედოფილები დაისაჯონ თავისუფლების უვადო აღკვეთით და მათი საქმე აღარასოდეს გადაიხედოს, ანუ, შეწყალებაზე უვადო უარი ეთქვას,თუ რატომ უნდა იყოს ასე?ეგ ზემოთ აღნიშნული ავადმყოფი ადრეც ნასამართლევი იყო, მაშინაც ბავშვი გააქრო, ხოლო შეწყალებულმა რა ჩაიდინა, სახეზეა.

ახლა რაც შეეხება აღზრდის პროცესს, მე რომ აქ ჩამოვედი, ბევრი რამ მიკვირდა და ვერ ვიგებდი, მაგალითად: მშობლების დაუკითხავად ბავშვს სურათს ვერ გადაუღებ, ვერ აკოცებ, ვერ ეთამაშები და სახელსაც კი ვერ ჰკითხავ, რადგან ძალიან დიდი საშიშროების წინაშე დგას მთელი ევროპა და არამხოლოდ ევროპა, ძალიან ბევრი ბავშვი იკარგება უგზო-უკვლოდ და ამ ყველაფერს მხოლოდ ორგანოებით ვაჭრობის სუნი უდის, როგორც მოთვალეს, ერთი ბავშვი 5-10 წლამდე 1.7 მილიონი დოლარის ორგანოებს ფლობს და წარმოგიდგენიათ ეს ბინძური ავადმყოფები რამდენ ფულს აკეთებენ და რა ზნედაცემული გზით?! გერმანიაში ბავშვს, როგორც კი ცნობიერება განუვითარდება, მაშინვე ასწავლიან, რომ არავის არ უნდა გაუშინაურდეს, არ უპასუხოს უცხოს არც ერთ კითხვაზე და გაყოლაზე ხომ ზედმეტია საუბარი, როცა ბავშვი გამომყავს ბაღიდან,თუ აღმზრდელი ახალია



და ვერ მცნობს, პირადობის მოწმობას ითხოვს.სამწუხაროდ ესაა დღევანდელი გლობალიზაციის დიდი გამოწვევა, დემოკრატიულ პრინციპებს ამოფარებული ავადმყოფები, მძარცველები და ათასი უზნეო ხალხი, რომლებსაც ჰუმანური კანონი იცავს, ეს კანონი კი შეურაცხყოფს, როგორც ოჯახს, ასევე მათ გარდაცვლილს. გუშინ წავიკითხე, პოლონეთი და ინტერპოლი 39 წლის ქართველს ეძებს, რომელმაც ახალგაზრდა გოგონა ჯერ გააუპატიურა, მერე კი სასტიკი წამებით მოკლა, ხალხი იქაც მკვლელის ხალხზე გადმოცემას ითხოვს, ლინჩის წესით უნდათ გასამართლება. მე,უკვე მრცხვენია ასეთი ქართველების, იმიტომ,რომ პატარა ერი ვართ და ჩვენი მხოლოდ ცუდი ჩანს ბევრი, ვიდრე კარგი... უბედურება ისაა, რომ რაც დრო გადის და კაცობრიობა ვითარდება, უფრო მეტად ვემსგავსებით პირველყოფილ ტომებს, ეს ყოველივე კი მხოლოდ განვითარებად და განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება. ვიტყვი და ვამბობ, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ძალადობას, მაგრამ ზემოთხსენებული სულით ავადმყოფები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რათა სხვისთვის მწარე მაგალითად დარჩნენ, ვერასოდეს გაბედოს მსგავსი ვერავინ!!!

ბესო გიგოლაშვილი, **ფსიქოლოგი** – მოზრდილი ადამიანის მხრიდან მცირეწლოვან ბავშვზე განხორციელებული ძალადობა, როგორც საზოგადოებრივი პრობლემა, ერთ- ერთი ყველაზე მტკივნეულია და მას არსებობის მრავალი ფორმა აქვს, რაც ზოგჯერ ტრაგედიითაც მთავრდება.ხსენებული პრობლემის სრულად აღკვეთა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა, შესაძლებელია მოზარდთან წინმსწრები საუბრით ასეთი საფრთხის შეძლებისდაგვარად მინიმალიზირება მაინც. 1) უპირველეს ყოვლისა, სასურველია მშობლებმა ან ახლობლებმა მოზარდი ბავშვობიდანვე მიაჩვიონ თავისი ,,ქცევითი როლის" შედარებით უკეთ გააზრებას. ეს გულისხმობს ბავშვის მიმართ კითხვების დასმას(მაგ, ,,რატომ გინდა ამის გაკეთება?" ან ,,როგორ შეასრულებ შენს სურვილს, ხომ არავინ შეწუხდება ამით?" და მსგავსი კითხვები). ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს მოზარდისთვის ესოდენ დამახასიათებელი იმპულსური ქცევის მართებულობის თანდათანობით გაცნობიერებას და ამ სურვილის აუცილებლობის უკეთ დანახვას.2) ყოველგვარი ზედმეტი შეშინების გარეშე, მაგრამ, ტაქტიანად, შეიძლება ავუხსნათ მოზარდებს, რომ სასურველია ,,თავშეკავებული ნდობა" გამოხატონ უცნობი ადამიანების მხრიდან მომდინარე შემოთავაზებების მიმართ. ეს სრულებით არ გულისხმობს უნდობლობას, მაგრამ ბავშვი, სასურველია, თანდათანობით და გააზრებულად შევიდეს ნდობაში ნებისმიერ ადამიანთან. 3) მართებული იქნება, თუ მოზარდი ეტაპობრივად გააცნობიერებს, რომ სპონტანური და სიტუაციური მინდობა უცნობ ადამიანზე ნამდვილად არ წარმოადგენს ერთადერთ ყველაზე სწორ ქცევით ფორმას. ნებისმიერი ნდობა დაფუძნებული უნდა იყოს პიროვნების სწორ შეფასებაზე, მისი სავარაუდო ქცევის სწორად ახსნაზე.

ირინა ფიროსმანაშვილი, **ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი**- მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რამოდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. ოჯახის მაქსიმალური ყურადღება ბავშვის მიმართ, ჯანსაღი კომუნიკაცია მშობლებსა და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რომელშიც ბავშვს უწევს ყოფნა, ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი. ბავშვის გაფრთხილება და უსაფრთხოებაზე საუბარი სასურველია ბაღის ასაკიდან დაიწყოს. ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს აღნიშნულ თემაზე სიღრმისეული და დეტალური ინფორმაციის მიწოდება, რათქმაუნდა, მხოლოდ ბავშვების ინფორმირებულობა, მშობლის სიფრთხილე და მასწავლებლების რჩევები, სკოლაში ჩატარებული სემინარები ბულინგის თემაზე არ არის საკმარისი, ძირეულად შესაცვლელია საზოგადოების დამოკიდებულება პრობლემისადმი.

დასასრულს, მინდა კიდევ ერთხელ დავგმო ქვეყანაში მომხდარი ამ ტრაგედიის, ამ სასტიკი დანაშაულის ჩამდენი მანიაკი, რომელსაც უბრალოდ ადამიანს ველარავინ უწოდებს. როდორც დედა და ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, ვემიჯნები აღნიშნული მანიაკების სოციუმში თანაცხოვრებას, რომლებიც არაერთნი არიან და ჩვენს გვერდით მშვიდად ცხოვრებენ, სავარაუდო მსხვერპლის თვალთვალში. მიმაჩნია და ვეთანხმები ჩვენი რესპოდენტების მოსაზრებას, რომ ისინი უნდა ცხოვრობდნენ მუდმივად საზოგადოებისგან იზოლირებულნი, მინიმუმ უვადო პატიმრობაში! მშობლებმა, პედაგოგებმა და სრულიად საზოგადოებამ გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე, რათა ეს ტრაგედია უკანასკნელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# ფსიქიკური ჯანმრთელობა, გარემო და მედია

*(მესამე გვერდიდან)*

სტიგმის გაღრმავებას ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ადამიანების მიმართ ხშირად მედიაც ხელს უწყობს. ძალადობაზე მომზადებული სიუჟეტები, სადაც ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამნაშავე შესაძლოა ფსიქიკური პრობლემების მქონე იყოს, საზოგადოებაში შიშს კიდევ უფრო ზრდის და ამ სახის პრობლემების მქონე ადამიანები კიდევ უფრო გარიყულად გრძნობენ თავს.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით კახეთში ჩატარდა ტრენინგი ჟურნალისტებისთვის, რომელსაც ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი უძღვებოდა. სემინარზე განიხილეს თემა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და მედია გაშუქება. კახეთის რეგიონის ჟურნალისტებმა, კერძო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით. მიიღეს რეკომენდაციები სპეციალისტისგან და ერთხმად აღნიშნეს, რომ მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებენ, კერძოდ კი, მსგავსი საკითხების გაშუქებისას, დღეს, თითქმის დოგმად ქცეულ პრინციპებზე უარს იტყვიან:

- კრიმინალური ამბების გაშუქებისას ბრალდებულის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ხაზგასმა ხელს უწყობს ზოგადად თემის სტიგმატიზებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების პოტენციურ დამნაშავეებად წარმოჩენას. კვლევები ცხადყოფს, რომ მოძალადეთა და მძიმე დანაშაულების ჩამდენთა უმეტესობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის რომელიმე პრობლემის დიაგნოზის მქონე ადამიანების სრული უმეტესობა მოძალადე არ არის და არც კანონთან ჰქონიათ პრობლემები.
- მედიამ ძალადობის, კრიმინალის ან ანტისოციალური ქმედებების გაშუქებისას თავი უნდა აარიდოს ჟურნალისტურ პროდუქტში მოწმეთა, თვითმხილველთა ან მეზობელ-ახლობელთა იმგვარი კომენტარების გამოყენებას, სადაც წყარო ხაზს უსვამს ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას და ჩადენილ ქმედებას მას უკავშირებს.

და ბოლოს...

ადამიანები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით სწავლობენ იცხოვრონ და გაუმკლავდნენ ამ პრობლემას; ადამიანები, რომლებსაც სუიციდისკენ მიდრეკილება აქვთ, სწავლობენ აკონტროლონ თავიანთი ემოციები. იქნებ, დროა, ფი-



ზიკურად და ფსიქიკურად „ჯანმრთელმა" ადამიანებმაც ისწავლონ, რომ „ნორმა" და „ნორმიდან გადახრა" ხელოვნურად შექმნილი მცნებებია, როცა საქმე ადამიანის პიროვნებას ეხება. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანს კი გარიყვა და იზოლირება კი არა, მხარში დგომა და გულისხმიერებით გაძლიერება ესაჭიროება, ისევე, როგორც ადამიანთა აბსოლუტურ უმეტესობას.

P.S. ცნობისთვის, ამ დღეებში ილიაუნის პროფესორი ჯანა ჯავახიშვილი ევროპის ფსიქოტრავმის კვლევის საზოგადოების (European Society for Traumatic Stress Studies, ESTSS) პრეზიდენტად აირჩიეს.

ევროპის ფსიქოტრავმის კვლევის საზოგადოება არის პროფესიული საზოგადოება, ქოლგა-ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის (ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ლიტვის, პოლონეთის, პორტუგალიის, საქართველოს, უკრაინის, ფინეთის, შვეიცარიის, შვედეთის, ხორვატიის, ჰოლანდიის) ფსიქოტრავმის კვლევის ნაციონალურ საზოგადოებებს.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველი ფსიქოლოგი ევროპული პროფესიული თემის ლიდერი გახდა.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა




# „შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1956 WLIS NOEMBERI

● SOFEL WITELWYAROS MOLOTOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM SOFLIS MOSAXLEOBIS ELEQTROENERGIIT UZRUNVELSAYOFAD DAIDGA 130 CXENISZALIANI ELEQTROZRAVI. ILICIS NATUREBI ACIMCIMDNEN 200-MDE SAKOLMEURNEO BINASI. ISEV GRZELDEBA SADENEBIS GAYVANA DA MALE YVELA OJAXI UZRUNVELYOFILI IQNEBA ELGANATEBIT. GARDA AMISA, AXLAXAN DAMTAVRDA AXALI ZETSAXDELI QARXANA, ROMELIC EQSPLOATACIASIA MICEMULI.

● SSR KAVSIRSI STUMRAD MYOFI SAXALXO DEMOKRATIULI BULGARETIS SOFLIS MEURNEOBIS MUSATA DELEGACIA, ROMELSAC SOFLIS MEURNEOBIS MINISTRIS MOADGILE PRIMIRIU XELMZRVANELOBS WITELWYAROS RAIONS ESTUMRA. ZVIRFAS STUMREBS SAZEIMO SEXVEDRA MOUWYES SOFEL JAFARIZESI. KULTSAXLIS WIN UAMRAV XALXS MOEYARA TAVI. PIONEREBMA STUMREBS COCXALI YVAVILEBIS TAIGULEBI MIARTVES. DELEGACIIS METAURI DAMSWRET QARTULAD MIESALMA. BULGARELI DA QARTVELI XALXIS KULTURUL URTIERTOBEBZE ISAUBRA WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS RUSULIS MASWAVLEBELMA NADEJDA POLIAKOVAM. STUMREBMA KI BULGARETIS SAXALXO MEURNEOBIS MIRWEVEBZE ILAPARAKES DA GAMOCDILEBA GAGVIZIARES. MITINGIS MERE MAT DAATVALIERES WITELWYAROS MTS-IS SATRAQTORO PARKI, JAFARIZIS KOLMEURNEOBIS MECXOVELEOBIS FERMEBI DA GUILDASMIT GAECNEN CVENS MIRWEVEBS. BOLOS ISINI WITELWYARODAN WINANDLIS DASATVALIEREBLAD GAESURNEN.

● SOFEL GAMARJVEBIS JDANOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS MEROREEBI MARALI MONDOMEBIT SROMOBEN IMISATVIS, ROM WLIS BOLOMDE GAASUQON DA SAXELMWIFOS CAABARON 270 SULI RORI. AM DREEBSI MAT SUQEBIDAN MOXSNES 40 SULI RORI DA DAMAMZADEBEL PUNQTS CAABARES 350 CENTNERI XORCI, COCXALI WONIT. DANARCENI ROREBIS SUQEBA WARMATEBIT GRZELDEBA.

● ARBOSIKIS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM DAIWYO AXALI MARAZIIS MSENEBLOBA, ROMELSIC MOTAVSDEBA RKINA-KAVEULIS SEQCIA DA GAMGEOBIS KANTORA. MSENEBLOBIS DAMTAVREBA GATVALISWINEBULIA DEKEMBRIS BOLOS.

● AWARIS FILARMONIISA DA TBILISIS V. ABASIZIS SAXELOBIS TEATRIS MSAXIOBEBIS MONAWILEOBIT ELDARSI, MECXVAREOBIS MEURNEOBASI SAINTERESO KONCERTI CATARDA. KARGI IQNEBODA ELDRELEBISTVIS KLUBSI WARMODGENEBI XSIRAD IMARTEBODES, MAGRAM AM KUTXIT MOISUSTEBS.

## 1969 WLIS NOEMBERI

● SOFELI JAFARIZE XARACOEBSIA. DIDI BELADIS 100 WLISTAVIS SAIUBILEOD SOFELI KIDEV UFRO GAFARTOVDEBA DA GALAMAZDEBA. MALE XARACOEBI MOEXSNEBA RAMDENIME DID SAMSENEBLO OBIEQTS. MAT SORISAA ORSARTULIANI KAPITALURI SENOBA SOFLIS CENTRSI, ROMELSIC MOTAVSDEBA SASOFLO SABWO DA SOFLIS BIBLIOTEKA. GARE SAMUSAOEBI UKVE DAMTAVREBULIA. AXLA SIDA SELESVA DA SXVA KETILMOWYOBIS SAMUSAOEBI MIMDINAREOBS. GARMA UBANSI KI SAEQSPLOATACIOD GAESVA AXALI BAGA-BARIS SENOBA. SOFLIS CENTRSI DASASRULS UAXLOVDEBA SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS SAMSARTULIANI SENOBIS MSENEBLOBA. MALE JAFARIZELI AXALGAZRDEBI MSVENIER SACUQARS MIIREBEN: ES IQNEBA SKOLASTAN ARSEBULI SPORTDARBAZI, ROMELSAC KOLMEURNEOBA MOAWYOBS DA SKOLIS MOSWAVLEEBTAN ERTAD SOFLIS MACXOVREBLEBIC GAKAJDEBIAN. ENAMTASI KI ASENDA SACXOVREBELI BINA MECXOVELEEBISTVIS, MALE AQVE DAMTAVRDEBA ABANOS MSENEBLOBAC.

● SAKONDITRO SAWARMOS SURNELI IRGVLIV IFRQVEVA. TETR XALATEBSI GAMOWYOBILI SPECIALISTEBI COMIS MOSAZEL MAGIDASA DA HAERRUMELEBS SORIS FUSFUSEBEN. SAAMQRO PATARAA, MAGRAM PRODUQCIAS MRAVALFEROVANS USVEBS. SAAMQROS MIRWEVAD ITVLEBA ISIC, ROM CVENI RAIONIS MARAZIEBI YOVELTVIS SEUFERXEBLAD MARAGDEBA ADGILOBRIVI WARMOEBIS TKBILEULITA DA PUR-FUNTUSEULIT. YVELAZE METI DATVIRTVA PERSONALS SADRESASWAULO DREEBSI AQVT. AM DROS AQ YVELAS ERTI MIZANI AMOZRAVEBS, ROM GAZRDILI MOTXOVNIS GAMOMO SAXLEOBIS MOTXOVNA DAAKMAYOFILON.

● AM ORIODE WLIS WINAT, ROCA ZEMO MACXAANSI AXALI SASADILO GAIXSNA, AMAYOBDNEN KIDEC, SUFTA DA KETILMOWYOBIL SASADILOSI PURIS WAMA SASIAMOVNOC IYO. MAGRAM GAVIDA DRO DA ZALIT, TU UNEBLIED, FANJREBS MINEBI CAEMSXVRA, IATAKZE RVINO DA WVNIANI DAIQCA, GAIWUWYA DA AXLA VER MIXVDEBIT, RA FERIS IYO. IATAKS FICREBIC ASCVIVDA DA KARGAD TU AR MOIQECI, FEXS MOITEX. KABINEBSI SICVE DA QARI DASADGUREBULA. AMISTANA SASADILOSI KACI TU MOXVDA, MEORED QUDI ROM SEUGDO ARAR SEVA

## 1978 WLIS NOEMBERI

● PRESIS GAVRCELEBIS `SOIUZPECATIS~ WITELWYAROS SAAGENTOS KOLEQTIVI ERTERTI MOWINAVETAGANIA RESPUBLIKASI. WLIS MEORE KVARTALSI MAT RAIONEBS SORIS GASLIL SOCIALISTUR SEJIBREBASI MEORE ADGILI DAIKAVES. AMIT AR DAKMAYOFILDNEN, UFRO METI MONDOMEBIT IMUSAVES MESAME KVARTALSI DA GAIMARJVES SROMIT METOQESTAN SIRNARIS RAIONIS KOLEQTIVTAN. WELS RESPUBLIKIS BEVRI RAIONIS PRESIS GAMAVRCELEBLEBI AQTIURAD GAMOEXMAURNEN MOWODEBAS DIDI OQTOMBRIS SOCIALISTURI REVOLUCIIS 61-E WLISTAVIS ARSANISNAVAD SEASRULON GEGMA-VALDEBULEBANI. PRESIS GAVRCELEBIS RESPUBLIKURMA SAMMARTVELOM SEAJAMA RAIONULI SAMMARTVELOEBIS SEDEGEBI DA WITELWYAROS KOLEQTIVS PIRVELI ADGILI DA GARDAMAVALI WITELI DROSA MIENIWA.



როგორც იქნა წინასაოქტომბროდ დამთავრდა წითელწყაროს ცენტრში ქალაქის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. აქ ბინას რაიონის ხელმძღვანელები და ადმინისტრაციული სამსახურები დაიდებენ. შენობა უკვე გადაეცა საექსპლუატაციოდ – 1969 წ.

● DREVANDELOBASI UTELEFONOD WARMOUDGENELIA. MITUMETES GAZETIS REDAQCIA. ES IMAS HGAVS, ADAMIANI XNAVDES, GUTANI HQONDES, SAXNISI ARA. KAVSIRGABMULOBIS XELMZRVANELEBO! PATIOSNAD GEUBNEBIT, BEVRJER DAVAPIRET SITYVIS TQMA, MAGRAM GULS VIOXEBDIT, GVEGONA AR GAKLDAT MKACRI MITITEBEBI. MAGRAM AMASOBASI DRO GADIODA. AM XNIS GANMAVLOBASI VIS AR VAQEBDIT DA VAKRITIKEBDIT, MAGRAM MUSAOBASI XELS TQVEN GVISLIDIT. ROGOR GETYVIT DA GAMGEBMA GAIGOS. ROCA SAQMEZE DEDAQALAQTAN, AN ROMELIME SOFELTAN GVINDA SAUBARI, ISE BAVSVURAD DAGVTUQSAVEN, ISE UKMEXAD GVETYVIANDRES VER DAGAKAVSIREBT, XAZI AR ARISO, GEGONEBA SXVA MNISVNELOVANI SAQMEEBIA. MERE GAMOIRKVEVA, ROM XAZI ARIS, MAGRAM BEVRI SEKVETEBIA DA AMITOM UARIA. AMATTAN AMAOA MTKICEBA, ROM RAIKOMI, ARMASKOMI, MILICIA DA REDAQCIA RIGSI AR UNDA CAAYENON. CVENC XSIRAD AMAOD VUCDIT. TU SAOCREBA MOXDA DA DAGVAKAVSIRES, AQAC AR MTAVRDEBA NERVEBIS WYVETA. SEGAERTEBEN DA DIDXANS UNDA VUSMINOT TELEFONISTI QALEBIS GAWIWMATEBUL CXUBS, MERE KI AN SEN AR GESMIS SASURVELI PIRIS XMA, AN MAS. ES DALOCVILI TELEFONISTEBI KI MIGANEBEBEN TAVS DA XAR RVTIS ANABARA. ROCA IVARAUDEBEN, ROM MOATAVEBDI LAPARAKS, UECRAD, UBODISOD GAGTISAVEN. AMAS GARDA, REDAQCIIS SAMUSAO TELEFONI SAMI KVIRAA DAZIANEBULIA. YOVELDRE VREKAVT KAVSIRGABMULOBIS RAIONUL KVANZSI. CAIWEREN, MAGRAM ISEV ASE VART. REDAQCIAA, ATASI REKAVS, ATASGAN CVEN VREKAVT, ROGOR SEIZLEBA GAZETI UTELEFONOD? ARC SAMDIVNOSI MUSAOBS, VERC REDAQTORIS TELEFONIA FORMASI. ITYVIT, ABA ROMELI TELEFONIRA MUSAOBSO? AMASIA SAQME. ESAA SAWYENI. RAIKVANZIS DIREQTORS SEVAXSENEBT, ROM TELEFONISTEBS ELEMENTARULI TAVAZIANOBA DA SAQMIS SIYVARULI ASWAVLOS, XOLO DAZIANEBIS BIUROS MUSAKEBMA PASUXISMGEBLOBA IGRZNON. KARGAD KI MOGIWEVT XELEBIS DAKAPIWEBA IMDENI SAQMEA GAMOSASWOREBELI. TAVIS MARTLEBAS NU SEECDEBIT.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

## ხ ს ო ვ ნ ა

# ლია ღირსიაშვილი-პოპიაშვილი



40 დღე გავიდა იმ საზარელი დღიდან, როდესაც შენი ტანჯული სული და ნაწამები სხეული საკუთარ სახლთან ერთად ცეცხლში ჩაიფერფლა. სამძიმარიც კი არ დაგვცალდა, ისე უცებ მიგიბარა მიწამ შენი ტრაგიკული ოჯახის წევრების გვერდით. იქნებ, ვინმეს დაავიწყდა შენი წარსული და დღევანდელობით განგსაჯა, როგორც ერთი ალკოჰოლის დამორჩილებული ქალი, მაგრამ მინდა, ყველას შევახსენო შენი წარსული:- სულ ახალგაზრდა შემოხვედი ჩვენს კოლექტივში, სიცოცხლით სავსე, მშვენიერი, ქმრისა და მისი ოჯახისგან განებივრებული, ოჯახისგან, რომელმაც ბავშვობის სიღარიბე და გაჭირვება დაგავიწყა, ხელის გულზე დაგისვა, სიხარულითა და სიამაყით აგავსო. არც შენ დარჩი ვალში, ოთხი შვილი აჩუქე ლერი პოპიაშვილს – ნანა, მირიანი, ანა და ირმა. რა მშვენიერი იყო მაშინ თქვენი ცხოვრება, შეჰხაროდით ერთმანეთს, შვილებს, მხარში საიმედო დასაყრდენად გედგათ ოჯაის უფროსები მირიან დ ანიკო პოპიაშვილები და რაიონში ერთ-ერთი სამაგალითო ოჯახი იყავით, შემდგომი ცხოვრებაც „სამაგალითოდ“ გამორჩეული გერგოთ. ჯერ კიდევ ჭარმაგი ოჯახის უფროსო გამოეცალა თქვენს ოჯახს, მალევე მეუღლეს უკურნებელმა დაავდებამ დარია ხელი... და.. 40 წლის ახალგარდა კაცის სიცოცხლე დაასრულა. მაშინ მოხდა ისეთი ფაქტი, რომელიც ამბადაც იშვიათად გაგვიგონია – დედამ თავი დააკლა შვილს და ორი კუბო ერთდროულად გაიტანეს თქვენი სახლიდან. დარჩი ცალუღლად, მაგრამ მხნედ იდექი, შვილებს არ ღალატობდი, ახლობლების და სამსახურის მხარში დგომით თავი გაგქონდათ. სკოლაში თითით საჩვენებლები იყვნენ შენი შვილები და შენს გულშიც მომავლის ნაპერწკალი ღვიოდა. წლები გადიოდა და ლერის გარდაცვალების ათი წლისთავზე კვლავ შეგაქცია ზურგი იღბალმა - პირმშვენიერი, სიცოცხლითა და ხალისით სავსე ანი, ორ მეგობართან ერთად, ავტოკატასტროფაში მოხვდა და გარდაიცვალა. ამას კი ველარ გაუძლო შენმა გულმა და ნერვებმა, ამდენმა ელდამა და ბედის უკუღმართობამ გაგტეხა, დაგაძაბუნა, სასმელს მიეძალე, ასე გინდოდა გაჰქცეოდი რეალობას. მრავალგზის შეგონებისა და თანადგომის მიუხედავად, ვერაფერი ვუშველეთ იმ იარებს, რომელიც ცხოვრებამ ასე დაუმსახურებლად თავს დაგატეხა შენ, კეთილს, სათნოს, მშრომელ და ერთგულ ადამიანს. ჩვენ მაინც სწორედ ასეთი ლიას სიყვარული და ხსოვნა შემოგვრჩა; გიხსენებთ და ცრემლს ვერ ვიკავებთ შენი იმ ტკივილიანი ცხოვრების და საზარელი სიკვდილის გამო. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს და გაპატიოს ყველა შეცდომა. სურათსაც ისეთს ვაქვეყნებთ, როგორიც გვინდა რომ ახსოვდე ხალხს.

**კულტურის დარგის მუშაკთა სახელით**
ნელი გოზეჯიშვილი.

## მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

# ვანო ნაზარეთიანი



რა საშინელი თარიღია ჩვენთვის 7 ნოემბერი, შვილო! ამ დღეს შენ სამუდამოდ დაგვტოვე შენი ოჯახის წევრები, რომლებიც შენი ქორწილისთვის ვემზადებოდით და შენი შვილების დაზრდაზე ვოცნებობდით. მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ 32 წლის ასაკში გამოგვაცალა ხელიდან შენი მჩქეფარე, ლაღი სიცოცხლე.

როგორი თბილი და ყურადღებიანი, დიდი და ოქროს გულის პატრონი, სამაგალითო და სტიმულის მომცემი იყავი ყველასთვის, სიკეთის გაკეთება გეჩქარებოდა, თითქოს გრძნობდი, რომ ნაადრევად დატოვებდი ამ წუთისოფელს და ეშურებოდი...

ოჯახის წევრებთან ერთად დაზაფრა შენი მეგობრები სამი წლის წინ შენმა უეცარმა და თავზარდამცემმა სიკვდილმა. რა ეშველება იმ ტკივილსა და სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დატოვე შენს სამეგობროში. ამიტომაც არ გივიწყებენ, შენს საფლავთან მოდიან და გიხსენებენ, ეფერებიან შენს მშობლებსაც...

უკვე სამი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ გვკლავს შენი მონატრება, რომელსაც დრო სულ უფრო ამძაფრებს.

შენი ოჯახი

მეუღლე: ანზორი, შვილი გიორგი, და – ციცო, ძმა ბესიკი, რძლები: იულია, ნუნუ, ელიზა, მაზლები: ზაური, თენგიზი, დისშვილები, ძმისშვილები და მაზლიშვილები, შვილიშვილები: დათო, ნათია, ანასტასია მარტყოფლიშვილები იუწყებიან

ნათელა მესტიაშვილ-მარტყოფლიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30 ოქტომბერს ქ. დედოფლისწყაროში.

## მადლიერება



მე ვარ მრავალშვილიანი დედა და სამი შვილიშვილის ბებია. ჩემი უმცროსი შვილები ტყუპებილანა და ლუკა სწავლობენ ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მე-5 კლასში. ლანას აქვს დაუნის სინდრომი. მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მრავალმხრივი პრობლემისა, სკოლის ყველა თანამშრომელი გამოხატავს დიდ ყურადღებას, ზრუნვას და მხარდაჭერას. მინდა, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოვხატო №2 საჯარო სკოლის დირექციის მიმართ. სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი ლანასთვის უზრუნველჰყოფს საუკეთესო სასწავლო გარემოს, ასევე მადლობელი ვარ სკოლის მანდატურების, რომლებიც ჩემი შვილისთვის ქმნიან უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემოს. ასევე, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო მე-5 კლასის დამრიგებლის ნათია ტოკლიკიშვილის და ყველა საგნის მასწავლებლის მიმართ. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ჩემთან ერთად და დაუღალავად შრომობენ ლანას საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და სწავლაზე. ბოლოს, მინდა, გამოვხატო მადლიერება სპეციალური მასწავლებლის - ირინა ფიროსმანაშვილის მიმართ, რომლის დახმარებითაც დღეს ჩემი შვილი არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, აქვს პოზიტიური ურთიერთობები თანაკლასელებთან, ჩვენ ერთობლივი მუშაობით ლანას ვამზადებთ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

**პატივისცემით,** ციალა თეთრაძე

## ულოცავენ!

### დარეჯან კაპანაძეს!

ჩვენს კოლეგას, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ პასუხისმგებელ მდივანს, ქალბატონ დარეჯან კაპანაძეს 8 ნოემბერს 80 წელი უსრულდება. ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებთ მას.კვლავაც ჩვეული ენერგიულობით და ენთუზიაზმით ეღვაწოს, როგორც ჟურნალისტს და ბედნიერი იყოს თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

**პატივისცემით,** გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

### თამარ მოძღვრიშვილ-მოდებაძეს!

ჩვენო საყვარელო თამრიკო, არავინ დაიჯერებს, რომ უკვე 65 წლის ხდები. 9 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. დიდი ოჯახის დედავ და ბებიავ, ბედნიერო ადამიანო, რომლის ეზო-კარში 2 შვილის 9 შვილიშვილი ჟრიამულობს. შენ უსაზღვროდ კეთილი,დიდსულოვანი, მშრომელი და თავდაუზოგავი ხარ, ყველას იმედი და მხარში მდგომი, ფაქიზი სულის და დიდი ადამიანური სიძლიერის მქონე. იცოცხლე, იხარე და იბედნიერე, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

**პატივისცემით, შენი მეგობრები:**
მზია ნატროშვილი, ნაირა გორაშვილი და ნანა ჭიჭინაძე

პატივცემულო კოლეგა, შენ ჩვენს შორის ერთ-ერთი ღირსეული ნომინანტი იყავ, რომლებსაც 2014 წელს „საუკუნის ლეგენდის“ წოდება მოგვენიჭა. დაჯილდოებისას ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ თავმდაბლად განაცხადა: მე ვიმღერებ და მხოლოდ სიამოვნებას მივანიჭებ ადამიანებს, მთავარი თქვენ ხართ, ვინც ქვეყნის ეკონომიკას აძლიერებთ, ადამიანებს სარჩოს აძლევთ. თაყვანს ვცემ თქვენს სიძლიერეს, როგორც წარმატებული ქალი-მეწარმის, რომელიც დიდ ოჯახთან ერთად ასეთ დიდ საქმესაც უძღვებაო. მართლაც, აფერუმ თქვენს ქალობას. გილოცავთ დაბადების 65 წლისთავს, კვლავაც წარმატებებს და ბედნიერებას გისურვებთ.

**პატივისცემით,**
**„საუკუნის ლეგენდის“ წოდების მფლობელები:** მედეა ამირანაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანი ბრეგვაძე, მანანა ახმეტელი და ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი.

## ულოცავენ!

### ხვთისო (ნამცეცა) ცისკარაულს! მაია ხიზანიშვილს!

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს დიდ სიხარულს მეორე ვაჟის – **ანდრიას** დაბადებასთან დაკავშირებით. ახალშობილს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ უფროს ძამიკო **ილიასთან** ერთად. თქვენ კი, აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ, რათა გაამრავლოთ ცისკარაულების გვარი ღირსეული მამულიშვილებით, რისი იმედიც ნამდვილად გვაქვს.

უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

ალექსანდრე, კობა, ჯარჯი, ბესო, ბერდია, მინდია, გია ცისკარაულები და ზურაბ პოპიაშვილი ოჯახებით.

### ლალი გურასპაულს!

გილოცავთ შვილიშვილის – **ლიზას** დაბადებას. პატარას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერ მომავალს.

**პატივისცემით** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

# „გზა ზენიტისკენ მე მეგონა დედის ნაწნავი“...

***წერილის სათაურად გამოტანილი ეს სტრიქონი გამოჩენილ ქართველ მხატვარს*** – ჯემალ კუხალაშვილს ***ეკუთვნის. ამ ლექსის კითხვისას უცაბედად ათ ლარიან კუპიურზე გამოსახული დავით კაკაბაძის დედა გამახსენდა – მხრებზე დაფენილი ნაწნავითა და თითისტარით. ნეტავ როგორები არიან ისინი-მხატვრის დედები, ამეკვიატა ეს აზრი და გადავწყვიტე ფერწერის დიდოსტატის – ჯემალ კუხალაშვილის დედა პირადად გამეცნო.***

თებერვლის სუსხიანი დღეა. უთოვლო და ნაგვიანი ზამთარი კუდს იქნევს და უხვად ბარდნის ვაზისუბნის მხატვართა დასახლებაში. ხეში წყალი ჩამდგარა, ვაზის მტირალობის ჟამია. ისიც ვაზის ცრემლივით წასკდომია ბუნებას. მასავით სპეტაკი და ანკარა. ეს ჩანს მის ღიმილში, დინჯსა და გაწონასწორებულ საუბარში, სახიდან არეკლილ სიკეთის სხივში - ერთბაშად რომ გნუსხავს და სასიამოვნოდ გათბობს . ეს დიდი მხატვრის – ჯემალ კუხალაშვილის დედა – ქალბატონი ჟუჟუნა იობიძე გახლავთ.

აი, თურმე როგორი ყოფილა,- ვაკვირდები ნაჯაფ ხელებს და სანამ ცხოვრების არც თუ ისე იოლად წასაკითხ ფურცლებს გადავშლიდე, მანამ მაგიდაზე დაწყობილი წერილებით ვინტერესდები.

ეს ჩემი შვილიშვილების-ჯემალის ხუთი ვაჟისა და იასონის ორო ქალიშვილისთვის განკუთვნილი ბარათებია, - მიხსნის სანდომიანი მოხუცი ქალი. მათთან ასე უფრო მიადვილდება საუბარი. კარგი ბავშვები არიან. აქედან ოთხი მხატვარია, ერთი მოქანდაკე, ერთი დიზაინერი, ერთი ჟურნალისტი და ერთიც ეკონომისტი, ორიც შვილთაშვილი მყავს, ამ წერილებს რომ კითხულობენ, ახლა ეღიმებათ, მაგრამ ვიცი, ჩუმ-ჩუმად ინახავენ, ალბათ მოსაგონებლად. მოხუცი ვარ და რომ წარმოვიდგენ, ძალიან მეძნელება ჩემიანებთან განშორება, მაგრამ ისინიც არაფერს ზოგავენ, რომ მათთან ყოფნის დრო გამიხანგრძლივონ.

**ქალბატონო ჟუჟუნა, – ვეკითხები მოსაუბრეს, – როგორც ვიცი, თქვენ ქუთაისიდან ბრძანდებით, ხონში გათხოვილი. ამ მადლიან მიწას ბევრი გამოჩენილი ადამიანი და სასახელო მამულიშვილი აღუზრდია. მათგან ერთ-ერთი თქვენი ვაჟი – ჯემალ კუხალაშვილია – სამშობლოს სახელის შორსგამტანი, ფერწერისა და კომპოზიციის დიდოსტატი, ვირტუოზი მხატვარი, ეს კი თქვენი დიდი დედობის მადლია.**

-ცხოვრება ადვილი არ ყოფილა, შვილო, ორი ობოლი გავზარდე. საუკეთესო წლები ქარხნებსა და ფაბრიკებში შრომას შევალიე, ორგზის სტახანოველის ჯილდოს, სიგელისა და მედლის მფლობელი ვარ. მახსოვს, ერთ-ერთი მათგანი თავად მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწემ- ვლადიმერ ალფენიძემ გადმომცა.

**– როგორ გგონიათ, ადვილია დიდი ხელოვანის დედობა?**

– როგორ გითხრათ, ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ ჯემალი საოცრად თბილი და მზრუნველი შვილია. სულ მუდამ თვალებში ჩამყურებს და თვითოეულ ამოსუნთქვასაც აკონტროლებს, მაგრამ



ამავე დროს მას ისეთი ბობოქარი სული აქვს, იმდენ ენერგიას გასცემს, ისე იხარჯება მოლბერტთან, რომ ხანდახან გგონია- ყვლას და ყველაფერს წალეკავს. ამ დროს მხოლოდ ხელოვნებით ცოცხლობს და მზადაა, საკუთარი თავიც მსხვერპლად გაიღოს.

ისე ბევრ შარს და ხათაბალასაც გადამკიდა. ერთხელ, მახსოვს, მამის ორმოცია ქუთაისში. მატარებლის ბილეთები აღებული გვაქვს და წასასვლელად ვემზადებით. ჯემალი სტუდენტია და უკვე ელდარ შენგელაიას ფილმის „სამანიშვილის დედინაცვალის“ დამდგმელი მხატვარია. მე მის სამოსს ვაუთავებ. უცებ ის მუშაობას იწყებს და ჩემს პორტრეტს ხატავს. ისე გაიტაცა ამ ყველაფერმა, რომ ბოლოს მატარებელზე დავაგვიანე და უახლოესი რეისით ძლივს ჩავფრინდით ქუთაისამდე. ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა ის ხატავს, მისთვის ბარიერი არ არსებობს.

ამ დროს კუხალაშვილების დიდ სახლში ახალგაზრდები შემოდიან. კედლიდან ნამუშევრებს ხსნიან, მანქანაში აწყობენ. ზოგსაც პატარა ქანდაკებები გააქვს ოთახიდან.

ისე დროულად კი მოვსულვარ. ამ დღეებში გალერეა „შარდენში“ ბატონი ჯემალის წარმატებული გამოფენა მიმდინარეობს, ხოლო რამდემინე დღეში კი მისი ვაჟების ფერწერული ნამუშევრები და მოქანდაკე კახა კუხალიშვილის ქანდაკებები გამოიფინება თბილისის სახელმწიფო მუზეუმ „ქარვასლაში“.

ალბათ უფრო დიდი ბედნიერება არც არსებობს ამაგდარი დედისა და ბებიის-ქალბატონი ჟუჟუნასათვის.

ღმერთო ძლიერო, შენ გაუმარჯვე კუხალაშვილების ამ დიდსა და ძლიერ ოჯახს, მის ბერმუხას, სინდისსა და პატიოსნებას, ერთ ჩვეულებრივ, მაგრამ სოცრად ამაღლებულ ქალს, მხატვრის დედა რომ ჰქვია.

ნანა ჭიჭინაძე

**P.S. მხატვარ ჯემალ კუხალაშვილთან შეხვედრა გაიმართება 8 ნოემბერს, 13:00 საათზე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.**

## იყიდება!

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება. გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039 სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 15,000 ლარი.

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

## იყიდება!

სოფელ ჭოეთში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 5700 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ოროთახიანი კორიდორით, შენობა არის კაპიტალური, ჭით და ფუტკრით.

☎ 599 22 40 20 ვასიკო.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 05.11 | | სამშაბათი 06.11 | | ოთხშაბათი 07.11 | | ხუთშაბათი 08.11 | | პარასკევი 09.11 | | შაბათი 10.11 | | კვირა 11.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 8° | 6° | 8° | 6° | 8° | 5° | 8° | 5° | 6° | 4° | 8° | 7° | 6° | 4° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.